პარასკევი, 1917 წ. მარიამობისთვის 11 (24)
წელიწადი მესამე
ფასი 10 კაპ.

საქართველო

მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ Сакартвело.
ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

№ 176
ეროვნულ-დემოკრატიული გაზეთი
№ 176

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპიროთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღია არის დილის 9—3 საათამდის და საღამოს 7—8-მდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

კონტორა

გაზეთის ფასი პირველ [illegible] წლის დამლევამდე 10 მან. 3 თვით—5 მან., ერთი თვით (მხოლოდ [illegible]) 2 მან. ცალკე № 10 კაპ. განცხადებისათვის სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 30 კაპ. უკანასკნელზე—20 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 6 მანეთიდან—10 მანეთამდე—ზომით. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1 მ. ფული და წერილები, რომელიც კონტორას შეეხება უნდა გამოეგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა გვიანებ 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე

გაზეთის შინაარსი

საგულისხმო ცნობები

გერმანელებმა რიგის ფრონტზე შეტევა დაიწყეს. რუსის ჯარმა დაიხია.

ვერდენის ფრონტზე დიდი ბრძოლაა.

გერმანელთა წყალქვეშებს მკათათვის განმავლობაში 811,000 ტონის წონა გემები ჩაუძირიათ. დღემდის კი სულ—5.500.000 ტონის.

ინგლისში 221.617 მოქალაქის პეტიცია ზავს მოითხოვს.

ქალაქი სოლუნი მთლად დაიწვა.

უკრაინის რადის თავმჯდომარე ვინნიჩენკო თანამდებობიდან გადადგა.

ხმებია, რომ გერმანელ-ავსტრიელები უკრაინელთა მოძრაობას მხარს უჭერენო.

ფინლიანდიის სოციალისტები სეიმს მარიამობისთვის 29-ისათვის იწვევენ.

კავკასიის მთიულებისა და ოსებისათვის როსტოვში დიდძალი იარაღი ჩამოურთმევიათ.

წერილები

მეთაური. წოდებათა გაუქმება და საქართველო.

ვ. წერეთელი. ჩვენი სოციალისტები და საერთაშორისო ტრაქტატი.

რუსული პრესა. რა ბრალსა სდებენ თბ. სოც. რევოლუციონერებს.

ნ. ოქ—პირიძე. ქარელის საფეიქრო სასწავლებელი.

პ. კარბელაშვილი. ბოდბის მონასტრისათვის.

კორესპონდენცია: სურამიდან, ხაშურიდან და ახალციხიდან.

გორის საქალაქო არჩევნებისათვის.

შტაბს-კაპიტანი ი. ვ. ცაგური.

დებულება დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის.

ნებითა ღვთისათა 8 აგვისტოს გარდაიცვალა მე 4 კურსის პეტროგრადის უნივერსიტეტის სტუდენტი

ნიკოლოზი ლუკას ძე
მოსულოვი

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძმები [illegible], დები და სიძენი: ზაქარია ლუკას ძე და ანნა ათანასეს ასული, კონსტანტინე ლუკას ძე და ელენე იოანეს ასული, ლუკა ლუკას ძე და ნინა ზაქარიას ასული, თომა ლუკას ძე მოსულოვი, მარია ლუკას ასული და ედუარდი ნიკოლოზის ძე ზენარსკები, ელენე ლუკას ასული და ალექსანდრე ლევანის ძე თულაევი, თამარა ლუკას ასული და გიორგი ნიკოლოზის ძე კეზერელი-კოპაძე, ნინო ლუკას ასული და მიხეილი გრიგოლის ძე რცხილაძე და ანნა ლუკას ასული მოსულოვისა.

პანაშვიდი ყოველ დღე. გამოსვენება მოხდება შაბათს, 11 აგვისტოს განსვენებულის ბინიდან, ქ. სიღნაღი, ნუკრიანის წმ. გიორგის სასაფლაოზე.
1--746--1

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პირველი უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ წევრთა და თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრათ ჩაწერა და ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 მდე „საქართველოს“ რედაქციაში ბ-ნ ევგენი იაკობის ძე გეგეჭკორთან.
1—732—თ.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მე-6—7 უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წევრთა მიღება და ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 11—3 და საღამოს 5—7-დე ტუჩკოვის ქუჩა № 5, სახლი კლიმიაშვილისა.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მე-8 და მე-9 უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოთ, რომ პარტიის წევრათ ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე მესამე მომრიგებელ მოსამართლის ბინაზე (ტურგენევის ქუჩა, სახლი № 4) კომიტეტის მდივან გ. ყიფიანთან.
751

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის X და XII უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა შეიძლება ყოველ-დღე საღამოს 6—11 საათამდე ახალ საკრებულოს (ხარფუხის კლუბი) ბინაზე კომიტეტის დროებით თავმჯდომარე დ. დუმბაძესთან და კლუბის ბუღალტერ კალატოზიშვილთან.

გამგეობა
განათლების საზოგადოების ქალთა სემინარიისა

აცხადებს, რომ თავისუფალი ადგილი აქვს მხოლოდ პირველ კლასში. ამ კლასებში შემოსვლის მსურველთ უნდა მიმართონ თხოვნით სემინარიაში. მისამართი: ვერა, სვიატოპოლკ-მირსკის ქუჩა № 6. მისაღები გამოცდები დანიშნულია მარიამობისთვის 25.

ქუთაისი

თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიისაგან

დაიბეჭდა და გასასყიდათ გამოვიდა:

1) ს. რ. გორგაძე. კაზმულ სიტყვიერება ბითი ქრისტომატია ჩვენი ახალი მწერლობა . . . . . . 3 მ. 10 შ.
2) ია. ეკალაძე. მოთხრობები მოსწავლეთათვის, წიგნი პირველი. — „ 50 „
3) ტ. მამალაძე. სამშობლო სურათები, ფრინველებზე უთოფოდ ნადირობა. . . . . — 5 „

იბეჭდება და მალე გასასყიდათ გამოვა:

1) გ. ყიფიანი. დაწყებითი ალგებრა (მესამე და მეოთხე კლასის კურსი).
2) პროფ. ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია.
3) ს. რ. გორგაძის რედაქტორობით. წამება წმიდისა შუშანიკისა.
4) იპ. ვართაგავა. შიო მღვიმელი და ბავშვთა სამყარო.
5) მიხ. ზაალიშვილი. არა ორგანიული ბუნება (ბუნების მეტყველების პირველი კლასის კურსი).

მალე დაიწყება ბეჭდვა:

1) ალ. ჭიჭინაძე. პირველდაწყებითი ცოდნა გეოგრაფიისა (პირვ. კლ. კურსი).
2) ს. გორგაძე. ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია, მეორე გამოცემა შესწორებით და დამატებით. მეხუთე საუკუნის მწერლობიდან.
3) ი. გომელაური. მოწაფის ჰიგიენა. მესამე გამოცემა.
4) ტ. მამალაძე. სამშობლო სურათები. დათვსა და არჩვზე ნადირობა ქვაბის ფსკერში.
5) მიხივე. გარეულ ცხოველებზე ნადირობა. (10—718—9)

დოქტორი მედიცინისა
ნიკო ანთიმოზის ძე
ბალანდარიშვილი
ყოფილი უფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათა ავადმყოფებს მიიღებს
მანგლისში
საკადეტო კორპუსის ბანაკში

[illegible]
ზ. მ. მუხაძე
იღებს [illegible] ავადმყოფებს საღამოს 5-6 ს. მდე, კვირა დღეს გარდა მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკლესიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 6—17.

ექიმი კბილისა
ე. ივ. ბალარჯიშვილი-მათეშვილისა
იღებს ავადმყოფებს: დილით 9—3 საათ. საღ. 5—7 საათ. ჩერქეზიშვილის და [illegible] ქუჩის კუთხე № 20.

ექიმი
ე. ლ. შალამბერიძე
იღებს სანერვო და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

ექიმი
მ. ფ. მგალობლიშვილი
ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: ოლღას ქუჩა № 41, შემო-სართული, ტელ. 9—58.

ექიმი
მ. ი. შარნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს ყოველ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, [illegible] ქ. № 4. (თ.— 202 —)

ექიმი
გ. დ. წინამძღვრიშვილი
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროსპ. № 56, მეორე სართული.

ექიმი
ა. დ. კეკელია
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულს და ათაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116.
(თ—703—9)

ექიმი
მ. გ. ვეშაპიძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორი ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, [illegible] ქუჩა, № 19.

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა დილის 1 საათიდან 2 საათამდე და საღამოს 6-დან 7 საათამდე.
გუნიბის ქუჩა № 41
თ—719—4

თბილისი,
მარიამობისთვის 11.

წოდებათა გაუქმება და საქართველო

პეტროგრადის ტელეგრაფის ცნობით დროებით მთავრობას შეუძლებლად უცვნია წოდებრივ დაწესებულებათა მოქმედება და საგანგებო კომისიისათვის მიუნდვია მათი გაუქმების წესის შედგენა.

რევოლიუციას რომ წოდებათა უპირატესობისათვის შექმნილ დაწესებულებათა გაუქმება სდევს თან, ეს ცხადია და ამიტომაც არის, რომ პირველი მარტის შემდეგ ძველი რეჟიმის წოდებათა არსებობა ფაქტიურად გაუქმდა: მხოლოდ გლეხობა განაგრძობს წოდებრივად მოქმედებას და ამას გარდა დაარსდა კიდევ ახალი „მუშათა“ წოდების ორგანიზაცია—მუშათა საბჭოები...

მაგრამ ფაქტიურად წოდებრივობის ხანა დასრულდა: იგი კლასობრივობას უთმობს ალაგს.

ამ ფაქტს ანგარიში გაწევა უნდა, განსაკუთრებით ჩვენში. საქართველოს თავად-აზნაურთა წოდებრივი დაწესებულებათა გაუქმების კითხვა გადაწნული არის მათი უძრავი და მოძრავი ქონების ბედთან. მარტო თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას იმდენი მამული, წარმოება და თანხა აქვს, რომ მას მეორე ალაგი უჭირავს მოსკოვის შემდეგ.

საქართველოსათვის სრულებითაც არ არის მისაღები ის რუსული წესი, რომელსაც მინისტრები შეიმუშავებენ პეტროგრადში.

საქართველოს თავად-აზნაურობის არსებობას იმოდენი ეროვნული თავისებურობა აქვს, როგორც უფლებრივი, ისე ეკონომიური, რომ წესი ქართულ თავად-აზნაურობის დაწესებულებათა გაუქმებისა სწორედ ქართულ ისტორიულ, პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ პირობებს უნდა შეეფერებოდეს და არა რუსულს.

საქართველოში მომქმედ პოლიტიკურ პარტიათა მოვალეობაა სათანადო ზომების მიღება, რომ ქართული თავად-აზნაურობის ქონება ქართველი ერის სამკვიდრებელი დარჩეს.

თორემ, თუ იმას ვუცადეთ, სანამ დამფუძნებელი კრება სხვა ეროვნულ საკითხებს შორის, საქართველოს საკითხსაც გადასწყვეტდეს, მაშინ შეიძლება ამ საქართველოსათვის მარტო „სახელი“ დარჩეს, რადგან რუსის სოციალისტი მინისტრები და მათ შორის პირველი ბატონი ჩერნოვი, დამფუძნებელ კრებამდის გაათავებენ სოციალურ-ეკონომიურ საკითხთა გადაჭრას, და ისიც ისე გაათავებენ, რომ მთელი „სახრავი“ რუსეთის ხელმწიფე ერს ერგება.

ჩვენი სოციალისტები და საერთაშორისო ტრაქტატები

როდესაც საქართველოსა და რუსეთს შორის 1783 წელს დადებული ტრაქტატის შესახებ ჩამოვარდება ხოლმე ლაპარაკი, ჩვენს სოციალისტებს ერთი პასუხი აქვთ დამზადებული: „ჩვენ, როგორც სოციალისტები, ტრაქტატს ვერ დავემყარებითო“.

საკვირველია სწორეთ: თუ კი საერთაშორისო ტრაქტატებს უარჰყოფენ, მაშ რით უნდა აიცილონ თავიდან მომავალში საერთაშორისო სისხლისღვრა? საერთაშორისო ტრაქტატები ხომ საერთაშორისო თანხმობას გამოხატავენ?! იმავე დროს მათი უარყოფა ხომ ძალადობის აღიარებას მოასწავებს?!

აი თუნდ ახლობელ მომავალში, როდესაც მეომარ სახელმწიფოთა შორის სამშვიდობო ხელშეკრულობა დაიდება, რუსეთისა და საფრანგეთის სოციალისტ მინისტრებიც ხომ მოაწერენ ხელს ტრაქტატს გერმანიის იმპერატორთან ერთად!

ორმა სოციალისტ-ფედერალისტმა საჯაროდ განაცხა, მეფეებს შორის დადებულ ხელშეკრულობას ვერ შევიწყნარებთო.

მაშ გერმანიასთან სამშვიდობო ხელშეკრულობის დადება შეუძლებელი ყოფილა, ვინაიდან იქ ჯერ მონარქიული წყობილებაა!

არა, ბატონებო! როდესაც უფლება მეფის ხელშია, მაშინ მის მიერ ხელმოწერილი ტრაქტატი, რამდენადაც კი იგი ერის უფლებას იცავს, ხალხის ნება-ყოფლობის გამომხატველ ხელშეკრულობად უნდა ჩაითვალოს.

და განა 1783 წლის ტრაქტატი ქართველი ერის ნებაყოფლობის გამომხატველი არ იყო? განა ერეკლე მეფეს შეეძლო ასეთი რამე ჩაედინა მხოლოდ თავისი ნებით, ე. ი. ხალხის სურვილის წინააღმდეგ?!

რასაკვირველია, არა. და ამას სხვათა შორის ისიც მოწმობს, რომ რუსის ჯარების ქართლში შემოსვლას ქართველი ხალხი არა თუ არ წინააღუდგა, არამედ სიხარულით შეეგება. იგივე განმეორდა, როცა რუსები შემოვიდნენ იმერეთში.

მერე კიდევ: ტრაქტატი იმის გამომხატველიც არის, რომ ჩვენ ისტორია გვქონია. და, თუ ჩვენ ევროპის წინაშე უტრაქტატოდ წარვსდგებით, ევროპის საზოგადოებას ასე ეგონება, ქართველები ბუშმენებისებურ მდგომარეობაში ყოფილან, ისტორია არა ჰქონიათ, ისტორიული უფლება არ მოეპოვებათ და ამიტომ ემყარებიან მხოლოდ ბუნებრივი უფლებას, როგორც იაკუტები, ტუნგუზები და სხვანიო.

რას მივაწეროთ, ასე განუვითარებელი რომ არის ჩვენი უფლებრივი შეგნება? ვფიქრობ, რომ ამის მიზეზი იგივეა, რომელმაც ჩვენს სოციალისტებს საქართველოს ტერიტორიის ერთს მეოთხედზე ხელი აღებინა: ქართველმა ერმა იმდენი ჩაგვრა და ვაება გამოსცადა, რომ მისმა შვილებმა ეროვნული თავმოყვარეობა დაჰკარგეს და ეროვნული თავდამცირებისა და თავდამდაბლობის პსიხოლოგია შეითვისეს!

ვაი დამცირებულთა და დამდაბლებულთ!

მაგრამ, არა! მწამს, რომ ეს პსიქოლოგია დროებითია!

ქართველებო! დავაფასოთ ჩვენი ღირსება და აღვიაროთ თავი სხვათა თანასწორებად, თუ გსურს, რომ სხვებმაც დაგვაფასონ და აღიარონ ჩვენი ეროვნული უფლებანი.

ვასილ წერეთელი.

რუსული პრესა

რა ბრალსა სდებენ თბილისელ სოციალისტ-რევოლუციონერებს.

გაზეთ „ბორბა“-ში დაბეჭდილია ბ-ნ გრიგოლ დიასამიძის საგულისხმო წერილი, რომელიც ახასიათებს თბილისის „სოციალისტ რევოლიუციონერთა“ ბელადებს:

„მეო, ამბობს ავტორი: ბრალსა ვსდებ მიხაილ ავდეევს იმ ცილისწამების შეთხზვა გავრცელებაზე, რომ თითქოს 1914 წელს ქრისტეშობისთვეს (თურქების თავდასხმის მოლოდინის დროს) ქართველებსა და მაჰმადიანებს სათავად-აზნაურო დეპუტატთა საკრებულოში სომხებთან ანგარიშის გასასწორებლად ბლოკი შეეკრათ.

ბრალს ვდებდი და ეხლაც ბრალსა ვსდებ მიხაილ ავდეევს, როგორც იმ ცრუ ხმების ენერგიულ გამავრცელებელს, ვითომც ვიღაც ვერაგი ქართველები კონსტანტინეპოლში რუსეთის წინააღმდეგ მოქმედებდნენ. იგი აქეზებდა ერთი ადგილობრივი ორგანოს რედაქციას ამ ცრუ ხმების გასავრცელებლად, და ეს მაშინ, როდესაც თურქებთან ბრძოლის გამო თბილისში და მთლად კავკასიაშიც ისეთი შეხუთული ატმოსფერა

ტრიალებდა, რომ იმ ცრუ ამბების გამოქვეყნებას ადგილობრივ ეროვნებათა შორის მხოლოდ დამოკიდებულობის გამწვავება შეეძლო გამოეწვია.

მე ბრალს ვდებდი და ეხლაც ბრალსა ვდებ მიხაილ ავდეევს და აგრეთვე თევდორე ნიკოლოზის ძეს ლებედევს, როგორც „კავკაზსკოე სლოვოს"-ს მახლობელ თანამშრომლებს იმაში, რომ ისინი მხარს უჭერენ ანექსიურ ალარმისტულ და ნაციონალურ ლოზუნგებს, როგორც მაგალითად კონსტანტინეპოლის (იმათებურად ცარგრადის) ხელში ჩაგდებას.

მე ბრალს ვდებდი და ეხლაც ბრალსა ვდებ მათ ორთავეს, როგორც სენსაციურ და მეტად ცალმხრივ დეპეშებისა და სხვა ცნობების მიმწოდებლებს, რომლებიც ხანგამოშვებით ყვითელ პრესის ორგანოს ისეთ ფურცლებზე ვრცელდებოდა, როგორიცაა „რუსკოე სლოვო" და რომელთა ცნობები მუდამ აღელვებდა აქაურ წრეებს. სხვათა შორის ესენი იყვნენ, რომ აჭარლების მოღალატეობის ხმას ასე გულმოდგინედ უჭერდნენ მხარს.

მე ბრალს ვდებდი და ეხლაც ბრალსა ვდებ მიხაილ ავდეევს იმაზე, რომ 1914 წ. ქრისტეშობისთვიდან გაურბის საამხანაგო გასამართლებას, რომელიც თვითონვე დამემუქრა ჩვენს შორის მომხდარ ინციდენტის გამო.

მე ბრალს ვდებდი და ბრალსა ვდებ მიხაილ ავდეევს აგრეთვე როგორც ამ ინციდენტის შესახებ ტყუილ ცნობების გამვრცელებელს.

დასასრულ მე ბრალს ვდებდი და ეხლაც ბრალსა ვდებ მიხაილ ავდეევს იმაში, რომ მან მის შესახებ ჯერ ისევ შარშან გამოქვეყნებულ ჩემს წერილზე პასუხი არ გამცა. მე კი ამ წერილით საჭიროდ მიმაჩნდა, რომ ჩვენ შორის მომხდარი ინციდენტი გაზ. „ჰორიზონის", „ფაიქარის", „სახალხო ფურცლის" და „თანამედროვე აზრის" რედაქციებს გამოეძიებიათ და ამ გამოძიების ორგანიზაციისათვის ვასახელებდი ამხანაგ ნოე რამიშვილს და ბარმაის ერზიკიანცს.

ავდეევის მიერ ამ გამოძიებაზე უარი—ვწერდი მე მაშინ,—მისთვის მოქალაქობრივი სიკვდილის განაჩენი იქნება.

მე ეხლაც მზად ვარ წარვსდგე საპარტიოთაშორისო სარევოლიუციო სასამართლოს წინაშე, რომ დავამტკიცო საბუთებითა და მოწმეებით როგორც ზემორე მომხსენებელი, აგრეთვე მისი, ავდეევისვე არა საკადრის რევოლიუციონერობისათვის პირდაპირ შეიძლება ითქვას კონტრ-რევოლიუციონური მოქმედებანი.

ომი და ზავი

დეპეშები

რუსეთის ბანაკის ცნობა.

პეტროგრადი. მარიამობისთვის 9. ოფიციალი. დასავლეთის ფრონტი. ტუკუმსკის მიმართულებით მარიამობისთვის 7-ს გერმანელებმა ტირულის ჭაობის დასავლეთით შემოტევა დაიწყეს. ძირითადი მოყარაულე ნაწილები კალნცემ-კემმერნისკენ წამოვიდნენ. დილის 8 საათიდან გერმანელებმა ტირულის ჭაობისა და მდ. აას შუა ჩვენი მოწინავე ნაწილები გამოარღვიეს და 2—3 ვერსით ჩრდილოეთისკენ დაახევინეს. ბაბიტის ტბის სამხრეთით რგაცემის მიმართულებით უმნიშვნელო იერიშები მოვიგერიეთ. მდ. აას აღმოსავლეთით დემინგის რაიონში მტერი ჩვენს ასპარეზებს საარტილერიო ცეცხლს უშენს. დვინსკის მიმართულებით გაცხარებული საარტილერიო ბრძოლაა. ბროდის მიმართულებით ბროდი-კრასნოს რკინის გზის ორსავე მხარეზე მტერი ჩვენს თხრილებს ძლიერ არტილერიის ცეცხლს უშენს.

რუმინეთის ფრონტი. მარიამობისთვის 7-ს ღამე მტერმა სერეტის სამხრეთ-დასავლეთით მოიტანა იერიში და ერთი გამაგრებული სიმაგრე დაიჭირა. ოკნინის მიმართულებით ბრძოლა გრძელდება. ფოკშანის მიმართულებით მტერი მონასტირთან და მერეშესთან შეეცადა შემოტევას, მაგრამ რუმინელებმა მოიგერიეს. დანარჩენ ფრონტზე სროლაა.

კავკასიის ფრონტი. პენჯევინის მიმართულებით ჩვენ მოწინავეებმა ზარსანის ქედიდან ზერიბარის ტბისაკენ წაიწიეს და ასტარბიდის დასავლეთით მერიკანის კარებები დაიჭირეს.

რუმინეთის ფრონტი.

მოქმედი ჯარი. მარიამობისთვის 8. ომი და ბრძოლა რუმინეთის ფრონტზე ორი კვირის განმავლობაში სწარმოებდა გაორკეცებულის სისასტიკით ორივე მხრიდან: გერმანელებმა სცადეს ფრონტის გარღვევა ჯერ პუტნაზე და შემდეგ ფოკშანის ჩრდილოეთით, სადაც გერმანელებმა გენერალ მაკენზენის ხელმძღვანელობით მოიტანეს იერიში 6 დივიზიით და მრავალის ზარბაზნებით. 6 მარიამობისთვის ბრძოლაში დავატყვევეთ 600, მათ შორის 10 ოფიცერი და წამოვიღეთ ბევრი ტყვიამტყორცნელი. დატყვევებული გერმანელები ამბობენ, რომ თვით ვერდენთან არ გვინახავს ასეთი თავგამოდებული, სასტიკი კონტრ-იერიშებიო. 24 მკათათვიდან სულ წამოვიყვანეთ 4000-ზე მეტი ტყვე და წავართვით ერთი ბატარეა და 40 ტყვიამტყორცნელი. ბრძოლები სწარმოებდა დღისით და ღამით. ექვსივე დივიზია ისე საგრძნობლად არის დაზარალებული, რომ დიდს ხანს აღარ გამოდგება საბრძოლველად. უნდა ვიფიქროთ, რომ მაკენზენის შემოტევამ ვერ გაიჭრა. აწი იგი აწვება ოკნას ფრონტს, რომ ხელში ჩაიგდოს ქვისა და მარილის მადნები.

ინგლისის ბანაკის ცნობა.

ლონდონი. მარიამობისთვის 8. ოფიციალი. ეპეიში გერმანელები ახალ კონტრ-იერიშებს შეეცადნენ, ჩვენმა არტილერიამ გერმანელ მფრინავთა მოზრდილი რაზმი გაჰფანტა. ჩვენმა მფრინავებმა დაამსხვრიეს მტრის მატარებელი, დააზიანეს სადგურები და ჰაეროდრომები. ჩამოვაგდეთ მტრის ორი ჰაეროპლანი, დავაზიანეთ 4. ჩვენ 6 ჰაეროპლანი გვაკლია.

საფრანგეთის ბანაკის ცნობა.

პარიზი. მარიამობისთვის 7. ოფიციალი. ვერდენის ჩრდილოეთით, მაასის ორსავე მხარეზე ჩვენმა ჯარმა 18 კილომეტრის მანძილზე მტრის სიმაგრეები დაიჭირა. ჩვენ ხელშია ავოკურის ტყე, მორტომის ორივე სიმაღლე, დე-კორბოს ტყე, კიუმიერი, ტალუს მწვერვალნი შაპნილი, „304" სიმაღლე, მორმონის ფერმა და „240" სიმაღლე. ლუვემონის ჩრდილოეთით ჩვენი ჯარის მარჯვენა ფრთამ დეფონსისა და ლემონის ტყეებისკენ წაიწია. ხელთ ვიგდეთ 4000-ზე მეტი ტყვე გერმანელი. მტრის ცხარე კონტრ-იერიშებს ყველგან ვიგერიებდით. ჩვენმა მფრინავებმა მტრის 11 ჰაეროპლანი ჩამოაგდეს და ორიც დააზიანეს.

მფრინავთა მოქმედება. მარიამ. 7. ღამე მტრის მფრინავები ჩვენ ზურგს ყუმბარებს უშენდნენ. ჩვენმა მფრინავებმა გუშინ მთელი დღის განმავლობაში გერმანელთა 21 ჰაეროპლანი ჩამოაგდეს.

ახლო აღმოსავლეთი. მდ. ცრნისთან მონასტირის ჩრდილოეთით, გაცხარებული საარტილერიო ბრძოლაა. ავაფეთქეთ მტრის ყუმბარების საწყობები.

მფრინავთა მოქმედება. პრილეპის რაიონში ჩვენმა მფრინავებმა 1500 კილოგრამი ასაფეთქებელი მასალა ჩაჰყარეს.

პარიზი. მარიამობ. 8. ოფიციალი. სერნის ზეგანზე გერმანელებმა სამ ალაგას მოიტანეს იერიშები, მაგრამ ზარალით დავაბრუნეთ ისევ თავიანთ თხრილებისკენ. ვერდენის ჩრდილოეთ-ფრონტზე წუხელ გერმანელებმა დიდი ბრძოლა დაიწყეს. განსაკუთრებით კი ავოკურის ტყესთან და კარიერის ტყის ჩრდილოეთით. მტერმა სასურველ შედეგებს ვერ მიაღწია. ჩვენი დაჭერილ ასპარეზებს ამაგრებენ. მარიამობისთვის 7-ს 5000 გერმანელი ტყვე წამოვიყვანეთ, მათში 116 ოფიცერია.

პარიზი. მარიამობისთვის 8. ვოსკალონის ჩრდილოეთით და აგრეთვე სერნი-კრაონის ზეგანზე ძლიერი საარტილერიო ბრძოლაა. შამპანში, სენტ-ილერის უბანში ჩვენმა ცეცხლმა მახრჩობელ გაზების აფეთქება მოახდინა. მზვერავებით შევიტყვეთ, რომ გერმანელთა თხრილები სავსეა მკვდრებით. ვერდენის ფრონტზე ბრძოლა გრძელდება. მარცხენა მხარეზე ჩვენებმა ერთი სიმაღლე და სოფელი რენევილლი დაიჭირეს. მარჯვნივ სამონე დავიჭირეთ. ჩვენ ხელშია აგრეთვე რამდენიმე გამაგრებული თხრილები „304" სიმაღლეზე. გერმანელების კონტრ-იერიშები მოვიგერიეთ.

იტალიის ბანაკის ცნობა.

რომი. მარიამობისთვის 8. ოფიციალი. იულიუსის ალპების ფრონტზე განუწყვეტელი ბრძოლაა. ჩვენი ჯარი კარსოსკენ მიიწევს. მტრის მესამე ლაშქარი ირყევა და უკან იწევს. კორიტასა და რელომის შუა მტრის სიმაგრეები შევარჩიეთ. სტორილოკვეს ძლიერ ასპარეზთან ბრძოლაში 261 ჰაეროპლანი იღებდა მონაწილეობას. გუშინდლამდის 243 ტყვე ოფიცერი და 10.103 ჯარისკაცი წამოვიყვანეთ.

ფრონტის კომიტეტთა კრების ნებადაურთველობა

კიევი. მარიამობისთვის 7. კრება სრულიად რუსეთის ჯართა ფრონტის კომიტეტებისა, რომელიც უნდა შეკრებილიყო კიევში 15 მარიამობისთვის, ნება არ დართო სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის მთავარ სარდალმა.

დაღუპულ გემების წონა

სტოკჰოლმი. მარიამ. 8. გერმანეთის საზღვაო შტაბის ცნობით მათ წყალქვეშებს მკათათვის განმავლობაში ჩაძირულ გემების წონა 811,000 ტონს უდრის. ომის დაწყებიდან დღემდის ჩაძირულ გემთა წონა 5,500,000 ტონს.

მისალოცი დეპეშა ჩინეთის პრეზიდენტს

ლონდონი. მარ. 8. მეფე გიორგიმ ჩინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს გერმანეთთან ომის გამოცხადების გამო მისალოცი დეპეშა გაუგზავნა.

ზავზე მოლაპარაკების თხოვნა

ლონდონი. მარ. 8. თემთა პალატაში ბონარ ლოუმ განაცხადა: მივიღეთ 221,617 კაცის ხელმოწერილი თხოვნა, რომლითაც ზავზე მოლაპარაკების დაწყებას მოითხოვენ.

ჯარის დისციპლინის აღდგენისათვის

ბრძანება მთავარ-სარდალ კორნილოვისა

მოქმედი ჯარი. მარიამობ. 7. ამ მძიმე გაჭირვების დროს, ჯარმა დაჰკარგა 4 თვეზე მეტი უმოქმედობაში. გაუნათლებელ, შეუგნებელ მასსას ეგონა, რომ თავისუფლება არის არაფრის კეთება. უსაქმურობამ გახრწნა ჯარი და სრულ დარღვევამდე მიიყვანა იგი. საჭიროა შევავსოთ დანაკლისი და ამიტომ ვბრძანებ დაუყოვნებლივ შეუდგეთ ზედმეტ მეცადინეობას. გაუწვრთნელ ჯარში შეუძლებელია იყოს დისციპლინა, უამისოთ იგი ემსგავსება შეიარაღებულ ურდოს, რომელიც საშიშია უფრო სამშობლოსათვის და თავისუფლებისათვის, ვიდრე მტრისთვის. მეცადინეობა უნდა სწარმოებდეს ყოველ დღე. საჭიროა დიდი ყურადღება მიაქციოთ დისციპლინას საერთო მოძრაობის დროს, გიმნასტიკას და საბრძოლო მოქმედებათა შესწავლას. მეცადინეობა უნდა აწარმოვოთ წინათვე შედგენილი გეგმით და პროგრამით დამტკიცებული დივიზიების უფროსების მიერ და გადუხვევლად სრულდებოდეს. ყოველ მეცადინეობაზე ჯარი უნდა გამოდიოდეს სრული ფორმით. ეცადეთ, რომ ჯარის კაცებმა კვლავ მიიღონ სამხედრო იერი და შეხედულება, რის გამოც ნება არ უნდა მისცეთ, რომ ყველამ თავისებურად ჩაიცვას და მოირთოს. ვიმეორებ, რომ შეგნებული, შინაგან დისციპლინას პირდაპირი კავშირი აქვს გარეგან დისციპლინასთან და ამიტომ მე ვთხოულობ, რომ უდიდესი ყურადღება მიაქციოთ მხედრის სამხედრო შეხედულებას და თავაზიანობას. უმცროსი პატივისცემით უნდა იყოს უფროსის წინაშე. სულით ძლიერება შეგნებით მოსილ ჯარში შეუძლებელია გაუგებრობა, დარდიმანდული ქცევა, ჯარისკაცისა თუ ოფიცრისა, ერთგვარად დასაძრახისია, როგორც თვით ჯარისთვის, ისე იმ ხალხისთვის, რომელსაც ისინი ეკუთვნიან. ვბრძანებ, რომ რიგიანობა ყველგან და მუდამ რიგიანობა იყოს. რაზმში აკრძალული უნდა იყოს ლაპარაკი და მითქმა-მოთქმა. კომანდა—აი ერთად ერთი ენა რაზმისა. წესიერება რაზმში დაცული უნდა იყოს ყველგან და მუდამ, სწავლაში თუ ლაშქრობაში და მუშაობაზე წასვლაში. დაემყარენით სავსებით კომიტეტების შველაზე და დახმარებაზე. საუკეთესო არჩეულმა ხალხმა უნდა შეიგნონ აუცილებელი საჭიროება ჩემი ყველა მოთხოვნილებისა და ყოველი ღონითაც უნდა ეცადნენ შეაგნებინონ ეს თავის ნაკლებად შეგნებულ ამხანაგებს. მრწამს, რომ გულწრფელი მისწრაფება სამშობლოს ერთგულ ძეთა გამოიყვანს ჯარს ბრწყინვალე მომავლის გზაზე და განკურნავს მას ყოველ ნაკლისაგან. უმეცრებასთან საბრძოლველად ვთხოულობ უდიდესი ყურადღება მიაქციოთ წერა-კითხვის სწავლებაზე, რამდენადაც შესაძლებელი და მოსახერხებელი იქმნება ეს სამხედრო მდგომარეობაში. ახალი ცნობების და წეს-წყობილების მტკიცედ დასამყარებლად აუცილებლად საჭიროა შეგნებული, მცოდნე მოქალაქენი და თუ თქვენ ამ საშუალებით შესძენთ სამშობლოს რამდენიმე ათას კაცს წერა-კითხვის მცოდნესა, ესეც დიდი სამსახური იქნება სამშობლოს წინაშე. თავისუფალ დროს გაართეუვით ჯარისკაცნი სასარგებლო თამაშობებით და სხვა გასართობებით. ეცადეთ აღაფრთოვანოთ ჯარი, კარგ, საღ გუნებაზე დააყენოთ იგი. კინომატოგრაფების, თეატრების, ფუტბოლის და სხვა მისთანების მოსაწყობად საჭირო ფული ნებას გაძლევთ დაახარჯოთ სამეურნეო თანხიდან. ინფანტერიის გენერალი კორნილოვი.

სტოკჰოლმის კონფერენციის გარშემო

ინგლისის მეზღვაურთა და მემადაროეთა გადაწყვეტილება.

ლონდონი. მარიამობისთვის 7. სავაჭრო ფლოტის მეზღვაურთა კონფერენციაზე წარმომადგენელთა გაგზავნის შესახებ რეფერენდუმს მოითხოვს და მთავრობის უარს პასპორტების მიცემის შესახებ მხარს უჭერს. მემაღაროეთა კავშირის კერძო ბჭობამ გადასწყვიტა ბრიტანელ მუშათა წარმომადგენლების სტოკჰოლმში გაგზავნას წინ აღუდგნენ და მიტინგზე ხმა არ მისცენ.

საფრანგეთის შრომის კონფერენციის დადგენილება.

პარიზი. მარიამობისთვის 8. დეპუტატთა საბჭოს დეპუტატ გილდენბერგმა და სმარნოვმა შრომის მთავარ კონფერენციის კომიტეტის სხდომაზე სტოკჰოლმში წარმომადგენლების გაგზავნა მოითხოვეს. კომიტეტმა დაადგინა, რომ კონფერენციაზე დასასწრებლად ორი წარმომადგენელი მაინც გაგზავნოს. გოლდენბერგი და სმირნოვი ლონდონისკენ გაემგზავრნენ.

რევოლუცია

დეპეშები

უკრაინელ ურიების კონფერენცია

კიევი. მარიამობისთვის 8. გაიხსნა ურიების სოც.-დ. მუშათა პარტიის კონფერენცია. კონფერენციამ მოიწონა პოზიცია თავის წარმომადგენლებისა უკრაინის საგენერალო სეკრეტარიატში და მთავრობის ინსტრუქცია სეკრეტარიატისათვის.

თავდაცვის თათბირის რეზოლიუცია.

პეტროგრადი. მარიამობისთვის 8 თავდაცვის თათბირმა მიიღო რეზოლიუცია მუშათა სექციისა, რომელშიაც ნათქვამია, რომ დღევანდელი ეკონომიური და ფინანსიური მდგომარეობა რუსეთისა უქადის დაღუპვას რევოლიუციას. სანამ ქვეყანა ომშია გაბმული, შეუძლებელია საფუძვლიანად გაუკეთესება სამეურნეო ცხოვრებისა. ნაყოფიერი ბრძოლა ეკონომიურ და ფინანსიურ რღვევასთან შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა სავსებით განახორციელებთ ეკონომიურსა და ფინანსიურ პროგრამას სრულიად რუსეთის დეპუტატთა საბჭოში, ე. ი. როცა სახელმწიფო ჩაერევა შერკეულ კაპიტალისტურ წარმოებაში მის იძულებითი მოწესრიგებით, კონტროლით მონაგარზე და წესიერი მოწყობით მისაწვდენ საქონლისა და განაწილებისა. „ბოლშევიკებმა" შეიტანეს თათბირზე დეკლარაცია, რომელშიაც აცხადებენ: „სანამ ხელისუფლება იმყოფება ბურჟუაზიის ხელში, ორგანიზაციები, რომლებმაც ხელი მოაწერეს ამ დეკლარაციის ქვეშ, უარს ჰყოფენ შემწეობა რამე გაუწიონ მთავრობას და იმუშავებენ სოლიდარულად მხოლოდ საერთაშორისო პროლეტარიატთან საპროლეტარო რევოლიუციისთვის".

კანდიდატები დამფუძნებელ კრებისთვის.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების ცენტრალ აღმასრულებელ კომიტეტის განყოფილებამ, რომელსაც მინდობილი აქვს მომზადება დამფუძნებელ კრებისათვის, გამოსთქვა სურვილი, რომ ადგილობრივ კანდიდატებად დამფუძნებელ კრებისთვის დასახელებულ იქმნენ წარმომადგენელნი სოციალისტურ პარტიათა ბლოკისა.

პურისთვის აჯანყება ხალხისა.

ასტრახანი. მარიამობისთვის 8. სასურსათო კომიტეტისაგან პურის ერთის გირვანქის სამი მეოთხედიდან ნახევარ გირვანქაზე ჩამოყვანამ, დიდი აღელვება გამოიწვია ხალხში. 8 მარიამობისთვის დილით გაიფიცნენ მუშები ქარხნებში, სატყეო ნავთ-სადგურებში, ტრამვაისა და საქონლის გადამზიდავნი, ბრბო გაემართა საქალაქო გამგეობის კომისარიატისკენ, სადაც იმყოფება კომიტეტი. ექსცესების აცილებლად ქუჩებში ჩაყენებულია ჯარები. დღეს დილიდან ქალაქის შუაგულში კვლავ თავს იყრის ბრბო, უფრო გამძვინვარებული, ვიდრე გუშინ. ქალაქში მიმოდიან ყაზახები. მაღაზიები დაკეტილია.

ეროვნული საკითხი

ნოვოჩერკასკი. მარიამობისთვის 7. ყაზახთა ყრილობამ, 70 წინააღმდეგ 50 ხმისა, უარი განაცხადა საადგილმამულო კომიტეტების დაწესებაზე დონის ოლქში. ყაზახთა მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საერობო დებულება ნებას აძლევს საოლქო სამაზრო და სასტანიცო საერობო კრებებისას, საოლქო ერობის ხმოსნები ირჩევიან მაზრის ერობისგან. უმთავრესი ფუნქციები ეძლევა სამაზრო ყრილობებს.

თვითმართველობა ინდოეთში.

ლონდონი. მარიამობისთვის 6 ინდოეთის საქმეთა მთავარ-მმართველმა აუწყა საზოგადოებათა პალატას, რომ მთავრობამ გადასწყვიტა მონაწილეობა მიეღებინოს ინდოელებს ყოველგვარ საადმინისტრაციო საქმეებში, რათა განავითაროს ინდოეთში თვითმართველობა და მოაწყოს საპასუხისმგებლო სამინისტრო. გაუქმებულია აგრეთვე დადგენილება, რომელიც უკრძალავდა ინდოელებს ოფიცრებად შესვლას ინგლისის ჯარში.

მაჰმადიანთ ყრილობის მოხსენებანი.

პეტროგრადი. მარიამობისთვის 8. სრულიად რუსეთის მაჰმადიანთა ყრილობათა დელეგაციამ გადასცა მინისტრ-თავმჯდომარის ნაცვალს სამი მოხსენება: მუსულმანთა ჯარზე, რომელიც ითხოულობს მაჰმადიანთაგან ცალკე ჯარების შედგენას, თურქესტანის საქმეთა მდგომარეობაზე, რომელიც ეხება თურქესტანის მკვიდრთა უფლებობას და კავკასიის მაჰმადიანთა მდგომარეობაზე, რომელიც ეხება მუდმივი დელეგაციის ყოლას, სამი კომისარის დანიშვნას—რუსისა, მაჰმადიანისა და სომხისა, ხოლო არა დაშნაკცუტუნის პარტიიდან, არამედ ს. რევოლიუციონერებიდან ანუ ს-დ.-დან. მოაწყოს სახელმწიფოსაგან დახმარების საქმეს ოსმალეთისაგან ჩამორთმეულ ნაწილებში, დანიშნოს მაჰმადიან-კომისარები ქურთებისათვის, ერთი მათგანი ვოლგის მაჰმადიანებიდამ, ნუ დააბრკოლებენ ოსმალეთის ნაწილებში ადგილობრივ მაჰმადიანებს მოაწყონ საკუთარი სამოქალაქო ორგანიზაციები, დაუყოვნებლივ მოეწყოს სამხედრო კომიტეტები კავკასიის სამხედრო ოლქში და კავკასიის ფრონტზე დაინიშნოს კომისია გამოსაძიებლად საქმეთა კავკასიაში. ნეკრასოვმა მოისმინა-რა დელეგაციის მოხსენება, დაჰპირდა ყველაფერი მოახსენოს დროებით მთავრობას.

რუსეთი და ფინლანდია

ჰელსინგფორსი მარიამობისთვის 8. „ტიომიესი" იუწყება, რომ ტალმანმა მოიწვია ფინლანდიის სეიმი ჰელსინგფორსში 16 მარიამობისთვის, რათა განაგრძოს ამ სამი კვირის წინედ შეყენებული მეცადინეობა.

ჰელსინგფორსი. მარიამობისთვის 7. გუშინ, საღამოს, მოხდა კრება ადგილობრივ სარევოლიუციო დემოკრატიის აღმასრულებელ ორგანოებისა; კრებამ მოისმინა-რა გენერალ-გუბერნატორის სტახოვიჩის მოხსენება ფინლანდიის საკითხის შესახებ, მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: 1) ხელმეორედ დამტკიცდეს რეზოლიუცია, მიღებული დემოკრატიის შეერთებულ სხდომაზე 20 მკათათვეს; 2) მიღებულ იქმნას ერთად ერთ მხნელ საშუალებად დაუყოვნებლივ შეერთებული კრება ფინლანდიისა და რუსეთის დემოკრატიისა ხმების თანასწორი რიცხვით, 3) მხარს უჭერს-რა ფინლანდიის დემოკრატიას მის კლასიურ ბრძოლაში, შეერთებული სხდომა ხელს ვერ შეუწყობს მას მის ბრძოლაში რუსეთის უმაღლეს ორგანოსთან—სარევოლიუციო მთავრობასთან. რეზოლიუცია მიღებულია 59 ხმით წინააღმდეგ 15.

ინგმანის განცხადება.

ჰელსინგფორსი. მარიამობისთვის 9. ინგმანმა შეატყობინა გენერალ-გუბერნატორს, რომ ბურჟუაზიული პარტია სეიმის არჩევნებამდე შეუძლებლად სცნობს ახალ სენატის შედგენას. მათის აზრით არჩევნების შემდეგ ფინლანდიის მმართველად სენატი უნდა გამოცხადდეს. სენატი კი სოციალისტების წასვლის გამო მხოლოდ ბურჟუაზიულ წარმომადგენელთაგან შესდგება. მოლაპარაკება გრძელდება.

სენატი.

ჰელსინგფორსი. მარიამობისთვის 9. ინგმანმა პასუხი ხვალისთვის გადასდო. შეგნებულ წრეებს ჰგონიათ, რომ ინგმანი კოალიციურ სენატის შედგენას შესძლებსო. ფიქრობენ, რომ ეხლანდელი სენატორები ახალ სენატში შევიდნენ და ისევ იმ თანამდებობაზე დარჩებიან. სოციალისტებმა უკანასკნელად განაცხადეს უარი სენატში მონაწილეობაზე. ფინლანდიის სოციალ-დემოკრატებმა ტანნერის სენატიდან გაწვევა დაადგინეს. ტანნერმა სენატიდან გამოსვლა გენერალ-გუბერნატორს შეატყობინა.

რუსის ჯარის და ფინლანდიის განწყობილება.

ჰელსინგფორსი. მარიამობისთვის 8 კვირის ყრილობას დაესწრნენ ჰელსინგფორსის სოციალ-დემოკრატების აღმასრულებელი კომიტეტი, ფინლანდიის ფლოტის, ლაშქრისა და მუშათა საოლქო კომიტეტები, კომიტეტი მეცხოვნეთა, ცენტრალი კომიტეტი ბალტიის ფლოტისა და გლეხთა დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტი. დღესასწაულის გამო ყრილობას ვერ დაესწრნენ ჰელსინგფორსის აღმასრულებელ კომიტეტის ზოგიერთა წევრები, რომელთაც ფინლანდიის საკითხის რეზოლიუციაზე ხმის მიცემის უარი განაცხადეს. ხსენებულ კომიტეტის წევრებმა მცირერიცხოვანობა მოიდეს საბაბად. მათვე შეუერთდენ ბალტიის ფლოტის ცენტრალ კომიტეტის წევრები, ასე რომ უარი მხოლოდ ტაქტიკურ მოსაზრებებით აიხსნება. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მიღებული რეზოლიუცია გამოხატავს ჰელსინგფორსში ხელმძღვანელ რუსის დემოკრატიის სულიერ განწყობილებას და აგრეთვე ფლოტისა და ლაშქრის უმრავლესობის სურვილებს. უეჭველია, რომ თუ საჭირო იქნება დროებით მთავრობას ლაშქარი და ფლოტი მხარს დაუჭერს. მარიამობისთვის 29-ში დანიშნულ სეიმის სხდომა ამ განწყობილებას ვერ შესცვლის, იგი მხოლოდ უფრო სამშობლოს ინტერესების დაცვას და დროებით მთავრობის გავლენიანობის განმტკიცებას უკარნახებს.

დრო სეიმის სხდომის დაწყებისა.

ჰელსინგფორსი. მარიამობისთვის 8. სეიმის კანცელარიამ შემდეგი ცნობა გამოაქვეყნა: „სეიმის სხდომა დაიწყება მარიამობისთვის 29-ში დღის 12 საათზე".

უკრაინა და რუსეთი

კრიტიკა მთავრობის ინსტრუქციისა სეკრეტარიატისთვის

კიევი. მარიამობისთვის 8. მცირე რადა განაგრძობს მოლაპარაკებას რიგობით მთავრობასთან. მთავრობის ინსტრუქცია გაატარეს კრიტიკის ქარცეცხლში: ზოგმა განაცხადა თანხმობა მიღებაზედ, ზოგმა უარი სთქვა მიღებაზე. გარდაწყვეტილი რეზოლიუცია არ გამოუტანიათ. საგენერალო მდივანმა რაფესმა განაცხადა, რომ ინსტრუქცია არ არის შედეგი შეთანხმებისა და წარმოადგენს ერთმხრივან აქტს, მაინც წინადადება შემოიტანა მიიღონ იგი. ვინნიჩენკომ განაცხადა, დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ ინსტრუქცია აღიარებს უკრაინის ავტონომიას და ამიტომ უნდა მიღებულ იქმნას იგიო, წინააღმდეგ შემთხვევაში განხეთქილება ჩამოვარდება და ეს კი კარგი არ არისო, ნემცებს შემოიყვანს უკრაინაში, რომლებიც მოგვცემენ თავისებურ ინსტრუქციასო. 7 მარიამობისთვეს გრძელდება რადის სხდომა და ინსტრუქციის კრიტიკა. ორატორები ყურადღებას აქცევენ იმ 4 მაზრას, რომელიც გამოყოფილია ჩერნიგოვის გუბერნიიდამ და ხაზს უსვამენ, რომ უკრაინელებს არ გვენდობიანო. რადის ერთმა ნაწილმა გადასწყვიტა წარუდგინოს მდივნები მთავრობას იმ მოსაზრებით, რომ იგი მოისურვებს მუშაობას ერთად სეკრეტარიატთან. რადის უმეტესობა თანახმაა ასეთს წინადადებაზე. მას მიემხრნენ სოც.-დემოკრატები და ეროვნულის უმცირესობა. საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია უკრაინის ს.-რევოლიუციონერებზე. უარის თქმა სასურსათო მდივნის დანიშვნაზე გამოიწვევს დიდს დაბრკოლებას, რადგანაც უკვე გადაწყვეტილია უკრაინის სასურსათო კრების მოწვევა. მდგომარეობა კრებისა სამძიმოა. ვინნიჩენკო გადადგა.

უკრაინის საერთაშორისო პოლიტიკა

პეტროგრადი. მარიამობისთვის 8. უკრაინის მთავარ სეკრეტარიატის თავმჯდომარის ვინნიჩენკოს გადადგომამ ხომ აალაპარაკა პოლიტიკური წრეები, მაგრამ ამასთან ხალხისა და პოლიტიკურ წრეების ყურადღება ვინნიჩენკოს პარიზში „ენტრანსიჟანი"-ს კორესპონდენტთან საუბარმა მიიპყრო. ეს საუბარი მოთავსებულია სატახტო ქალაქის პრესაში და დაჭერილია სამხედრო ცენზურისაგან. ვინნიჩენკო აღნიშნავს მოკავშირეთა უკრაინელებისადმი უყურადღებოდ მოქცევას და ამით ხსნის მათდამი არა მეგობრულ დამო-

კიდეზულებას. ძველი შეცდომების გამოსწორება შეიძლება თუ საფრანგეთი და ინგლისი უკრაინელებს ავტონომიურ უფლების გარანტიას მოუპოვებენ. საფრანგეთის მიერ უკრაინელთა სეპარატიზმის შესახებ ბრალდების გამო ვინნიჩენკო სწერს: „რაც უფრო ეწინააღმდეგებიან ჩვენ მოთხოვნილებებს იმდენად უფრო დიდ იმედებს ამყარებენ ზოგიერთა უკრაინელნი ავსტრია-გერმანეთზე. რადგანაც რამდენიმე გერმანოფილია და იმ შემთხვევაში თუ სტოკჰოლმში წასასვლელად პასპორტებზე უარი მივიღეთ—ჩვენს წარმომადგენლებად ავსტრიის უკრაინელები ან და სოციალისტები იქნებიან. ჩვენ გვგონია, რომ გერმანეთი არ დამარცხდება, მაგრამ იგი იძულებული იქნება, რომ ზავს „უანექსიოდ და უკონტრიბუციო“ ფორმულა კი მიიღოს. ასე რომ სტოკჰოლმს დიდი მნიშვნელობა აქვს მოკავშირეთათვის“.

ვინნიჩენკო თანამდებობიდან გადადგა

კიევი. მარიამობისთვის 8. უკრაინის მთავარი სეკრეტარიატის თავმჯდომარე, შინაგან საქმეთა მდივანი, ვინნიჩენკო თანამდებობიდან გადადგა.

მთავარი კომიტეტის დეპეშა

პეტროგრადი. მარიამობისთვის 8. უკრაინის სამხედრო მთავარი კომიტეტი დეპეშით ატყობინებს სამხედრო მინისტრს, რომ ის ხმები ვითომც უკრაინელთა მოძრაობა გამოწვეულია და მხარს უჭერს ავსტრია-გერმანეთი—ბნელ ძალებისაგან არის გავრცელებული და ჩვენ შორის ღვარძლის ჩათესვით მხოლოდ ჩვენი დაღუპვა უნდათო.

უკრაინელთა დელეგატების ცნობა

პეტროგრადი. მარიამობისთვის 8. პეტროგრადში დარჩენილ უკრაინელ დელეგატებმა განუცხადეს დროებით მთავრობას, რომ გენერალურ სეკრეტარიატს საჭიროდ მიაჩნია ჰქონდეს ოფიციალი განცხადება დროებით მთავრობისა იმის შესახებ თუ როგორ ესმის მას ის პუნქტები, რომელმაც რადის უკმაყოფილება გამოიწვია. დიდ მნიშვნელობას აწერენ იმ პუნქტს რომლითაც დროებით მთავრობას სასწრაფო შემთხვევებში მთავარი სეკრეტარიატის დაუკითხავად დადგენილებათა გამოცემა შეუძლიან; ეს პუნქტი, სეკრეტარიატის აზრით, განმარტებას საჭიროებს. ნათლად უნდა იყოს ახსნილი ის თუ რამდენად შეუძლიან მთავრობას ხსენებულ უფლებით სარგებლობა.

რუსეთი და უცხოეთი

ხანძარი სოლუნში.

ათინა. მარიამობისთვის 9. ქალაქი სოლუნი თითქმის მთლად დაიწვა. 84,000 მცხოვრები მთლად უსახლკაროდ დარჩა.

უკანასკნელი დეპეშები

კვლავ დაჟინებით ლაპარაკობენ მთავრობის მოსკოვში გადასვლაზე.

—

მოელიან მთავრობის მოქმედებაში მიმართულების შეცვლას.

—

წმ. გიორგის ჯვრით დაჯილდოვებულებმა განაცხადეს, რომ მთავრობა თუ კორნილოვს უმაღლეს მთავარსარდლობიდან გადააყენებს, მაშინ ისინი ყაზახებთან ერთად საქმით შეუდგებიან უკმაყოფილების გამოცხადებას.

—

საზღვაო მინისტრი ლებედევი სამსახურიდან გადადგა.

—

იუსტიციის მინისტრმა რუსეთში დაბრუნების ნება დართო ნადეჟდა ტატარს პროვოკატორს მალინოვსკის, ხოლო გააფრთხილა, თუ პროვოკატორობა დაუმტკიცდა, მაშინვე დაიჭერთო.

—

წერეთელმა იკისრა მედიატორობა მილიუკოვსა და ჩერნოვს შორის მომხდარ უსიამოვნებაში.

—

10—17 ენკენისთვეს პეტროგრადში მოხდება სრულიად რუსეთის მზარეულთა ყრილობა.

ქრონიკა

თბილისი

◆ **ქართული ეკლესიის დელეგაციის დაბრუნება.** თბილისში დაბრუნდენ პეტროგრადიდან ქართულ ეკლესიის დელეგაცია კ. ცინცაძეს მეთაურობით, რომელსაც დავალებული ჰქონდა ავტოკეფალიის საკითხის შესახებ მოლაპარაკება დროებით მთავრობასთან.

◆ **თანამდებობისთვის თავის დანებება.** არქიმანდრიტმა ამბროსიმ თავი დაანება ძველი რუსის ეკლესიის წინამძღვრობას.

◆ **ქართულ სამღვდელოების ყრილობის მოწვევის კომისია.** დაარსდა ქართული სამღვდელოების ყრილობის მოწვევის კომისია. კომისიაში შევიდენ დეკანოზი ალ. თოთიბაძე, მღ. ი. შუბლაძე და ერისკაცი გ. თ. ჟორდანია.

◆ **წარმომადგენლები მოსკოვის თათბირზე.** ხალხის თავისუფლების პარტიამ წარმომადგენლობა მოსკოვის თათბირზე დაავალა ქრისტეფორე ეგ. მაშველს და ა. არამაზიანცს.

◆ **სტუდენტთა მატარებელი მოსკოვ-პეტროგრადისკენ.** მარიამობისთვის 20-ს გავა სპეციალი სტუდენტთა მატარებელი თბილისიდან მოსკოვში. ვისაც სურს ამ მატარებლით გამგზავრება, უნდა ჩაეწეროს სტუდენტთან პლავინსკისთან. გოგოლის ქ. სახლი 59, იმავე რიცხვეებში გაემგზავრება თბილისიდან სტუდენტთა სპეციალი მატარებელი პეტროგრადში. ჩაწერა შეიძლება სამხედრო ექიმ თარუმოვთან, ბარონის ქ. სახლი 8.

◆ **სომეხთა ეროვნული პარტიის წარმომადგენელი.** სომეხთა ეროვნულმა პარტიამ მოსკოვის თათბირზე წარმომადგენლად გაგზავნა ტერ-ოგანიანცი.

◆ **მოწაფის თავის მოწამვლა.** ნაძალადევის უბანში თავი მოიწამლა ტეხნიკური სასწავლებლის მოწაფემ მ. ხელაძემ. მიზეზი არავინ იცის.

◆ **სურსათის მოტანა.** მარიამობისთვის 8-ს სადგურ „თბილისზე“ მოვიდა 2 ვაგონი შაქარი და სამი ვაგონი ფქვილი. ხოლო 9 მარიამობისთვეს ერთი ვაგონი შაქარი.

◆ **სასურსათო კომიტეტის საგანგებო სხდომა.** დღეს საგანგებო სხდომაა დანიშნული თბილისის საქალაქო სასურსათო კომიტეტისა. სხდომაზე უმთავრესად პურის კრიზისზე და ბარათების შემოღებაზე იქნება სჯა-ბაასი.

◆ **ბინების დამქირავებელთა კავშირი.** სახლის პატრონები ფასს ბინებზე დღითი დღე უმატებენ ბინების დამქირავებელნი მათთან ბრძოლაში უძლურნი არიან. ამიტომ ბინების დამქირავებლებმა თავიანთი ინტერესების დასაცავად და სახლის პატრონებთან საბრძოლველად დაარსეს „ბინების დამქირავებელთა კავშირი“.

◆ **კავკასიის მუზეუმის საამშენებლო კომისია.** შესდგა კავკასიის მუზეუმის საამშენებლო კომისია. კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა გიორგი დ. ჟურული.

◆ **ტყავეულობის შეგროვება.** სამხედრო-სამრეწველო განყოფილების ცენტრალმა კომიტეტმა 350,000 მანეთი გადასდო ტყავეულობის საყიდლად. როგორც იტყობინებიან წელს ტყავეულობის დიდი კრიზისია და შეიძლება ჩვენი ჯარი ფრონტზე ფეხშიშველა დარჩეს. ამიტომ წინდაწინვე ზომებს ღებულობენ.

◆ **გუბერნიის საადგილ-მამულო გამგეობა.** დაიწყო მოქმედება გუბერნიის საადგილ მამულო გამგეობამ.

◆ **სატყეო აღმასრულებელი კომიტეტი.** სატყეო აღმასრულებელმა კომიტეტმა ასტაფის ტყის გამგეს გადასცა 100,000 მან. ხეტყის მოსაჭრელად სამხედრო საჭიროებისათვის.

◆ **ფულის წაღება.** მიხეილის პროსპექტზე 97 №-ის სახლში პეტრე ლეიშინს 900 მან. ფულად მოპარეს. გაქურდულმა ეჭვი ვიღაც გიგილაშვილზე მიიტანა, რომელსაც იმ ღამეს ღამე იქ გაეთია.

◆ **სახალხო სახლის რემონტი.** ქალაქის გამგეობამ სახალხო სახლის რემონტი დაიწყო. ამიტომ დროებით სახალხო სახლი დაიხურება ყოველივე წარმოდგენა-კრებისათვის.

◆ **თავის ჩამოხრჩობა.** მარტყოფის ქუჩაზე, პავის ბინაზე თავი ჩამოიხრჩო ალ. ტომიანცმა. ჯიბეში სამი გამოსათხოვარი წერილი აღმოაჩნდა 1-ლი მეუღლისადმი: გთხოვ არ იჯავრო“. მეორე შვილებისადმი—„დიდა თქვენი გამიხსენეთო“ და მესამე საყოველთაო „ჩემ სიკვდილში ბრალი არავის არ ედება“.

პროვინცია.

◆ **ფედერალისტების კლუბის დარბევა.** ივლისის 16 სოფ. ბაღდადში სოც.-ფედერალისტებს პარტიული კლუბი გაუხსნიათ. გახსნაზე ალ. წერეთელს სიტყვა წარმოუთქვამს; ერთბაშად ხალხიდან ერთს დაუყვირია: „ძირს“, „გადმოაგდეთო“. ორატორმა მსმენელთ მოუწოდა, ყური ნუ უგდებენ იმ უპასუხისმგებლო პირებს, რომელნიც მათ ფედერალისტების წინააღმდეგ ამხედრებენ. ამის საპასუხოთ ბრბოს ერთი ნაწილი ტრიბუნს მისცვივნია. კლუბში შეჭრილა და დარბევა დაუწყია. სოც. ფედ. მოწმეთა და სახლის პატრონის სიტყვით დარბეულ შენობიდან ძვირფასი საგნებიც დაუტაცნია ბრბოს.

◆ **კოოპერაციათა ორგანიზაცია.** ყარსში დაარსდა კოოპერაციების საოლქო ორგანიზაცია. მისი მიზანია შეერთებული ძალით რაც შეიძლება მეტი სანოვაგე შეისყიდოს. ამ მიზნით ჩრდილო კავკასიაში გაიგზავნა რწმუნებული სანოვაგის სასყიდლად, რომელსაც 10,000 მ. გაატანეს.

◆ **წარმოდგენა გურჯაანში.** გურჯაანში ახლად აშენებულ თეატრში 6 მარიამობისთვეს გ. გარრიკის გამართა წარმოდგენა. წარმოდგენილ იყო: „ყაჩაღები“ შილერისა. უკანასკნელი მოქმედება, სუნდუკიანცის „საღამოს ერთი ცხვირი ხეირია“ „ტიმოთეს ლეღვი“ და გოგოლის „შეშლილის წერილები“.

ბათომის ქალაქის ახალი გამგეობა

ამ თვის შვიდს ბათომის საბჭოს ამორჩევია: ქალაქის თავად კონსტანტინე ბეჟანის ძე საბახტარაშვილი, გამგეობის წევრებათ: გრიგოლ სოლოღაშვილი, დიმიტრი სერგეის ძე მგელაძე, ჰასან ეფენდი ლორთქიფანიძე და ებრაელი კუზიატინი, მდივნათ ლაზარევი.

დაწვრილებით ცნობებს ხვალ დავბეჭდავთ.

ყალბი პასპორტები

მილიციამ გაიგო რომ ვაგზლის ქუჩაზე, სპარსეთის საკონსულოში მოწყობილი იყო მთელი ბიურო, რომელიც ყალბ პასპორტებს ჰყიდდა და ყიდულობდა. მილიციამ საკონსულოს გაჩხრიკა და შეიპყრო მოხალისე ჯარის კაცი სირიძე. შეპყრობილმა ჯერ განაცხადა, რომ 115 სათადარიგო პოლკის ჯარისკაცია, გვარად სირიძე, და პასპორტიც წარადგინა, ხოლო შემდეგ გამოირკვა, რომ მისი პასპორტიც ყალბი ყოფილა. მის ბინაზე იპოვეს მრავალი ყალბი ყალბი პასპორტები. ამას გარდა შეიპყრეს ვინმე მარაშინი და კ. ჯავახიშვილი. მათ ბინაზე ბლომად არაყი და არაყის გადასაზიდავი ჭურჭელი იპოვეს. გამოირკვა, ამ ვაჟბატონებს სისტემატიურად გაჰქონდათ რუსეთში სხვა და სხვა სასმელები. ფიქრობენ, რომ ამ სამ კაცს გარდა, კიდევ მრავალი წევრი ჰყავს ამ „ყალბ პასპორტების“ ბიუროს, ჯერ-ჯერობით ეს 3 დაპატიმრებულია. სასტიკი გამოძიება სწარმოებს,

პროტესტი პროფეს. ბენეშევიჩისა და ეპ. გრიგოლის მიმართ.

მე-4-ე საბლაღოჩინო ოლქის სამღვდელოთა და მრევლის კრება იზიარებს რა კაცხვასა და უკმაყოფილებას საქართველოს სამწყსოსას, აცხადებს თავის მხრით პროტესტს და გულძვირობას პროფ. ბენეშევიჩის და ეპისკოპოსს გრიგოლს მათი არაქრისტიანული მოქმედებისათვის საქართველოს ეკლესიის კეთილ-მოწყობისა და მშვიდობის ყოფის წინააღმდეგ.

თავმჯდომარე კრებისა დეკ. ი. გურგენიძე, დეკ. მღვდ. ა. ჯაში, მღვდ. დ. კახაბერი, მღვდ. ი. სონღულაშვილი, მღვდ. პ. კარბელაშვილი, მღ. ს. ბერიტოვი, მედავითნე დ. მჭედლიშვილი, მედ. ი. ციციკაშვილი, მედ. ი. ზერიძე, მედ. პ. ქილაშვილი, მედ. ლ. ბოჭორიძე, ქ. მგალაშვილი და ა. ხუზელაშვილი.

8 მარ. 1917 წ.

რუსთა ჯარისკაცების თავდასხმა სომეხთა სოფელზე

ერივანიდან სომხურ გაზეთებს დეპეშით ატყობინებენ, რომ რუს ჯარისკაცებმა შეიარაღებული თავდასხმა მოახდინეს სომეხთა სოფელზე იაიჯაზე. სოფელში არავინ არ დაინდვეს. თოფის კონდახებით სცემეს ყველას. მძიმედ დასჭრეს 4 მცხოვრები, შეიპყრეს 90, მათ შორის ორი მანდილოსანი და გზას გაუდგნენ. როგორც ირკვევა მცხოვრებლებს არავითარი მიზეზი არ მიუციათ ჯარისკაცების თავდასხმისათვის. გამოირკვა, რომ თავდასხმა მოახდინეს „ყარაულის პოლკის“ ჯარისკაცებმა. ამის გამო ერევანის სომეხთა კომიტეტი სთხოვს ჯარისკაცთა საბჭოს გადაიყვანოს ეს პოლკი სხვა ადგილას.

შტაბს-კაპიტანი ი. ვ. ცაგურია

4 მკათათვის რევოლუციის დროს

ქართველთა პოლკის ცხენოსან არტილერიის დივიზიონის შტაბს-კაპიტანი ი. ვ. ცაგურია პეტროგრადში მოჰყვა წარსულ მკათათვის 4-ს, როცა იქ არეულობამ იფეთქა და თავისი გაბედულობით, მოხერხებული მოქმედებით და თავდადებულობით დიდი სამსახური გაუწია რევოლუციონურ რუსეთს და დროებით მთავრობას.

ჩვენ ხელთა გვაქვს უტყუარი საბუთის ქაღალდი, რომელიც ამბობს:

1917 წლის მკათათვის 4-ს შტაბს-კაპიტანი ცაგურია გამოცხადდა პეტროგრადის ოლქის სამხედრო შტაბში და განაცხადა, რომ აქტიური მონაწილეობა მსურს მივიღო ანარქიულ ამბოხების ჩაქრობაში და რევოლუცია უნდა დავიფაროვო.

პეტროგრადის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსმა ცაგურია გაგზავნა იმ რაზმის დასახმარებლად, რომელსაც უნდა დაეფარა თავრიდის სასახლეში მყოფნი აღმასრულებელი კომიტეტი და დროებითი მთავრობის წევრნი. დამსწრეთა ჩვენების მიხედვით, შტაბს-კაპიტანი ცაგურია „ლიტეინის“ პროსპექტზე მიუძღოდა ჯარის მოწინავე რაზმს, რომელზედაც მეამბოხეებმა უეცარი იერიში მიიტანეს, თოფები და ტყვიისმფრქვეველები დაუშინეს, რაზმში ბევრი კაცი და ცხენები დაიხოცა, რაზმი განსაცდელში ჩავარდა. ცაგურიამ ამ დროს დაინახა რომ ნევის ნაპირას საჩქარით მიჰქონდათ ერთი ზარბაზანი, რომელიც მაშინვე გააჩერა. იმ დროს რაზმს ტყვიას უშენდნენ ვიბორგისა და „ლიტეინის“ ხიდის მხრივ და აგრეთვე მახლობელ სახლებიდან ცაგურია თითონ ჩაუდგა ზარბაზანს და თავისი რაზმის გადასარჩენად რამდენჯერმე ესროლა ზარბაზანი მეამბოხეთ. გაჰფანტა-რა მეამბოხენი, ცაგურიამ ხელით დაითრია ზარბაზანი და თავრიდის სასახლისაკენ გაექანა. პოდესაულის ფილიპოვის განკარგულების თანახმად, ცაგურია ორის ყაზახის თანხლებით მთავარსარდალთან გაექანა ცხენით, რომლისათვისაც უნდა ეცნობებინა, რომ ჯარი გაჭირვებულ მდგომარეობაში არისო. გზაში „ლიტეინის“ პროსპექტზე მას შეხვდნენ მეამბოხენი და თოფები დაუშინეს, მაგრამ ცაგურია არ დაიბნა, არ შედრკა და სიტყვით მიმართა მოწინააღმდეგეთ და ურჩევდა მათ თავი დაენებებინათ უწესოებისათვის მისმა სიტყვამ არ გასჭრა და ვერც მეამბოხეთა რაზმის გარღვევა შესძლო; ისა და მასთან მყოფი ორი ყაზახი მეამბოხეებმა შეიპყრეს და სახელმწიფო სათათბიროს შენობაში გაგზავნეს. თანხმლები ორი ყაზახი ამოწმებს, რომ ცაგურიამ თავისი გამბედაობითა და სიდინჯით სიკვდილს გადაგვარჩინაო.

გორის მონასტრისათვის

დღემდე რომ ჩვენი წმინდა მონასტრებში ვინგინდარანი [illegible] და უწმინდურ ხელებს აფათურებდნენ, დღეს დგან ბოლო ეღება ესრეთს ძალმომრეობასა, და ჩვენ გვმართებს ყოველს ჩვენს სიწმიდეს სათავეში ჩაუყენოთ ღირსეული პირნი, რომ უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში შეუშრობელი ცრემლნი ტანჯულ-წამებულ ბერ-მონაზონებს თვალთა შეაშრობს და განაცხოველებს სიწრფოებით ლოცვისათვის „მშვიდობისათვის ყოვლისა სოფლისა“.

გორის წმ. ნინოს მონასტერი ქართველთა სარწმუნოებრივი სალოცავი კერაა, და ღირსად დაფიქრდეთ—ვინ უნდა იქმნეს აღრჩეულ წინამძღვრად? რა თქმა უნდა ის, ვისაც ღირსად იცნობს ქართველობა.

მე ვსასოებ, რომ ქიზიყელები წმ. ნინოს მონასტრის წინამძღვრის აღრჩევასა და ყველას სასიხარულოდ ამ ფრიად საპასუხისმგებლო ადგილს ჩააბარებენ გულშემატკივარს ქრისტიანს, რომელიც გაუქრობელ წმინდა ლამპრად უნდა ექმნას წმიდა ნინოს სავანესა და მთელს ქართველ ერსა.

მღ. პ. კარბელაშვილი.

გორის საქალაქო არჩევნებისათვის

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ხმოსანთ კანდიდატების სია არის

№ 2

1. ამირეჯიბი ირაკლი გიორგის ძე—ნაფიცი ვექილის თანაშემწე.
2. მეზურნიშვილი ამბროსი ბესარიონის ძე—ვაჟთა გიმნაზიის მასწავლებელი.
3. შიუკაშვილი ნიკო ივანეს ძე—საქალაქო სასწავლებლის უფროსი.
4. გვერდწითელი გაბრიელ ივანეს ძე—ექიმი.
5. უხურგუნაშვილი რაჟდენ სოლომონის ძე—ვაჭარი.
6. ერისთავი გიგო ნიკოლოზის ძე—ბანკის დირექტორი.
7. რომანიშვილი დავით მიხეილის ძე—კომერსანტი.
8. კაპანაძე გიგო თეიმურაზის ძე - ბანკის დირექტორი.
9. კვალიაშვილი გიორგი დიმიტრის ძე—ბანკის დირექტორი.
10. ლიპარტიანი პარმენ ქაიხოსროს ძე—ფოსტის უფროსი.
11. ხარატაშვილი ალექსი სოლომონის ძე—ვაჭარი.
12. თარხან-მოურავი ელენე ზაალის ასული—ჭრა-კერვის სკოლის დამაარსებელი.
13. წერეთელი სიმონ დიმიტრის ძე.
14. ხალარაძე გიორგი ნიკონის ძე—მასწავლებელი გიმნაზიისა.
15. კოშორაძე პლატონ გაბრიელის ძე—წვრილი კრედიტის მოხელე.
16. ეგნატაშვილი იაკობ გიორგის ძე—კომერსანტი.
17. ცხეთათრიშვილი ალექსანდრე მიხეილის ძე—მოხელე ფოსტისა.
18. ტიტიაშვილი დავით დიმიტრის ძე—მოხელე ფოსტისა.
19. მახარაშვილი დიმიტრი პავლეს ძე—მრეწველი.
20. ხუციშვილი გიორგი იოსების ძე—მუშა.
21. ბებიაშვილი გიორგი ზაქარიას ძე—მუშა.

დებულება დამფუძნებელ კრების არჩევნებისთვის

დროებით მთავრობის დადგენილება

თავი IV.

საამომრჩევლო სიების შესახებ.

25. დამფუძნებელ კრების წევრთა ასარჩევათ ამომრჩეველთა სიები შესდგება. თვითეულ საარჩევნო უბანი თითო სიას შეადგენს.

თვითოეული ამომრჩეველი მხოლოთ ერთი უბნის სიაში უნდა იყოს შეტანილი.

26. საამომრჩევლო სიების შედგენა ევალება ქალაქისა და სოფლის სამართველოებს და აგრეთვე სოფლის საზოგადოებათა საერობო სამმართველოებს კუთვნილებისამებრ.

27. იმ დღეს, როდესაც ხსენებულ სასამართლოებმა საამომრჩევლო სიების შედგენა უნდა დაიწყონ, დამფუძნებელ კრების საარჩევნოდ შემდგარი საოლქო კომისია დანიშნავს და მთელ ოლქში გამოაცხადებს ისე, რომ ყველა მცხოვრებმა იცოდეს ეს.

28. საამომრჩევლო სიებში შეიტანებიან ის პირნი, ვისაც არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს და სიების შედგენის დროს ამა თუ იმ უბანში იცხოვრებენ, თუნდაც იგი უბნიდან დროებით წასული იყოს.

29. ის პირნი, რომელნიც საარჩევნო უბანში საამომრჩევლო სიების დაწყებიდან ერთი დღის შემდეგ მოვლენ, სიაში მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიტანებიან, თუ ამას ისინი საქალაქო და სასოფლო სამმართველოს ან და სოფლის საზოგადოების საერობო სამმართველოს განუცხადებენ. განცხადების შეტანა სიების გამოცხადებამდის და [illegible] გამოცხადებიდან კიდევ 5 დღის განმავლობაში შეიძლება, ხსენებულ განცხადებასთან ერთად უნდა წარდგენილ იქმნას აგრეთვე იმის განცხადება, რომ ის არც ერთ უბნის ამომრჩეველთა სიაში შეტანილი, სადაც წინად სცხოვრობდა. ამ განცხადებას სამმართველო დანიშნულებისამებრ გაგზავნის სადაც ჯერარს.

30. საამომრჩევლო სიაში აღინიშნება: გვარი ან და გამოცვლილი სახელი თვითეულ ამომრჩეველისა, სახელი, მამის სახელი, წლოვანობა, ბინა და ხელობა. სია თვითეულ უბანში გვარების ანბანზე უნდა შეადგინონ.

31. სიები შედგენისამებრ, და ყოველ შემთხვევაში არჩევნებამდის ორმოცი დღით წინ მაინც, საყოველთაოთ უნდა გამოაცხადდეს ისე, რომ ყველას შეეძლოს მისი ნახვა.

32. ადგილობრივ ადმინისტრატიულ მთავრობის წარმომადგენელს პროტესტის განცხადება და ხოლო არჩევნებში მონაწილეობის უფლება მქონე პირებს სიის უსწორობაზე ან და მის უსრულობაზე საჩივრის შეტანა შეუძლიანთ მხოლოდ სიების განცხადებიდან 10 დღის განმავლობაში.

ხსენებული საჩივრები თუ პროტესტები უნდა შეიტანონ ქალაქისა და სოფლის ან და სოფლის საზოგადოების საერობო სამმართველოში.

33. ქალაქისა და სოფლის ან და სოფლის საზოგადოების საერობო სამმართველოება აკმაყოფილებს მოჩივრებს იმის და მიხედვით თუ რამდენად შესაწყნარებელი იქნება მათი საჩივარი თუ პროტესტი შეუწყნარებელი იქმნება: საჩივრები მოჩივარი საამომრჩევლო სიაში შეტანის შესახებ იმ შემთხვევაში თუ ხსენებულ პროტესტ-საჩივრებს მე-32 მუხლში ნაჩვენებ ვადის გასვლამდე ხუთი დღით მაინც ადრე შეიტანენ და 2) საჩივრები მოჩივართა შესახებ სიებში შემცდარ ცნობებზე, ასეთ საჩივრების შეწყნარებას სამმართველონი მოჩივრებს შეატყობინებენ.

34. სხვა საჩივრებს თუ პროტესტებს ქალაქის და სოფლის ან და სოფლის საზოგადოების საერობო სამმართველო სამ დღის განმავლობაში გადასცემს დამფუძნებელ კრების საარჩევნოთ შემდგარ სამაზრო კომისიას. საჩივარსა თუ პროტესტთან ერთად სამმართველო მის შესახებ ახსნა-განმარტებასაც წარადგენს.

35. თუ პროტესტში ან საჩივარში სადავოთ თვლიან რომელიმე ნაჩვენებ პირთა საარჩევნო უფლებას, იმ შემთხვევაში მათ, ვისზედაც ჩივიან, საქალაქო, სასოფლო ან სოფლის საზოგადოების სამმართველოები ატყობინებენ, თუ რა პროტესტი ან საჩივარია მათზე შემოტანილი.

36. დამატებითი საამომრჩევლო სია მე-32. მუხლში ნაჩვენებ ვადის გასვლამდე სამი დღით მაინც წინ უნდა გამოცხადდეს.

ამ დამატებით საამომრჩევლო სიაში აღინიშნებიან მხოლოდ: 1) ის პირნი, რომელთა განცხადება მათ თვის დროზე სიაში შეუტანლობის გამო შეწყნარებული იქნება (მუხლი 29) და 2) ის პირნი, რომელთა საჩივრებიც სამმართველომ დააკმაყოფილა. დამატებითი საამომრჩევლო სია მე-30 მუხლის დაურღვევლად უნდა შესდგეს.

37. დამატებით სიის შესახებ პროტესტი თუ საჩივარი მე-32-ე მუხლში აღნიშნულ ვადაზე მე-32, მე-34 და მე-35 მუხლების წესით უნდა იქმნას შეტანილი.

38. პროტესტები თუ საჩივრები დამფუძნებელ კრების საარჩევნოდ შემდგარ საქალაქო თუ სამაზრო კომისიების მიერ 5 დღემდე უნდა განიხილებოდნენ კარ ღია სხდომაზე, იმ წესით რა წესიც შემოღებულია ადმინისტრატიულ სასამართლოს შესახებ დებულებაში (კანონთა კრებული 1917 წ. 632 მუხლი) და რომელიც ადმინისტრატიულ მოსამართლეთა მიერ საქმის განხილვას შეეხება. ამასთან საქმის განხილვაზე დასწრება შეუძლიანთ: მოჩივარს თუ პროტესტის შემტანს, სამმართველოს წარმომადგენელს, განსაჩივრებულ სიის შემდგენს და აგრეთვე იმ პირთ ვის საარჩევნო უფლებაც სადავო გამხდარა.

39. დამფუძნებელ კრების საარჩევნოთ შემდგარ სამაზრო და საქალაქო კომისიების გადაწყვეტილებაზე ადმინისტრატიულ განყოფილების საოლქო სასამართლოში 10 დღის განმავლობაში კვლავ შეიძლება საჩივრისა თუ პროტესტის შეტანა, ამასთან ამ გვარ პროტესტებისა თუ საჩივრების მიცემა არჩევნებს არ შეაფერხებს.

40. ადმინისტრატიულ განყოფილების საოლქო სასამართლო აღნიშნულ

პროტესტს-საჩივრებს 5 დღის ვადაზე განიხილავს.

41. დამფუძნებელ კრების საარჩევნოთ შემდგარ სამაზრო და საქალაქო კომისიებისა და აგრეთვე ადმინისტრატიულ განყოფილების საოლქო სასამართლოს დადგენილებათა მიხედვით ხუთ დღეზე შესწორებული საამომრჩევლო სია არჩევნებამდის 10 დღით მაინც ადრე ხელ ახლად უნდა გამოცხადდეს ისე, რომ ყველას ადვილად შეეძლოს მისი ნახვა.

(გაგრძელება იქნება)

ქარელის საფეიქრო სასწავლებელი

1913 წლიდგან ს. ქარელში არსებობს საფეიქრო სასწავლებელი. იგი გაიხსნა პატივცემული ბარბარე დ. ბაგრატიონ დავითაშვილის მეცადინეობით, და სასწავლებელი დღესაც მის მზრუნველობის და ხელმძღვანელობის ქვეშ იმყოფება.

ამ სასწავლებელში დამუშავებული ხელ საქმე აქნობამდის სათანადო გამგეობის (кустарный комитет-ის) განკარგულებით მიჰქონდათ თბილისში და იქ ჰყიდდნენ.

წელს კი სასწავლებლის მზრუნველმა ბაგრატიონ-დავითაშვილისამ, სამი თვისა: აპრილისა, მაისისა და თიბათვის ნამუშევარი აღარსად გააგზავნინა, და რომ მცხოვრებთათვის დაახლოვებით გაეცნობებინა, სასწავლებლის დანიშნულება და მნიშვნელობა, აქვე ს. ქარელში გამართა გამოფენა და ვაჭრობა სასწავლებლის ხელსაქმისა.

გამოფენა იყო დანიშნული ს. ქარელში, სასწავლებლის შენობაში მკათათვის 16 დილის 12 საათზედა. იგი მართლა მშვენივრათ იყო მოწყობილი, აქ შეხვდებოდით სახვა და სხვა ფერადის მაუდსა, ფერადს სარფინკებსა, პარუსინებსა, პირსახოცებს, ზოგს აბრეშუმის ნაქერს არშიებით, ჯეჯიმების სხვა და სხვა ფერადობასა; იყო ლამაზი კოხტა ხალიჩები, ფარდაგები, დორები, აბრეშუმით ნაქერი ხელშისაწერი. პარკები, (მეშოკი) მშვენიერი ნაქერი ბალიშის გადასაფარებლები და სხვა და სხვა.

მნახველი ხალხი აღტაცებაში მოდიოდა და ქება დიდებას უძღვნიდა შეგირდებს და მასწავლებელს სოფიო 3 როინაშვილს, ამ სასწავლებლის მასწავლებელსა, რომელმაც 1916 წ. აქვე გაათავა სწავლა და აქვე დაინიშნა მასწავლებლათ.

თუმცა ვაჭრობა დანიშნული იყო 12 საათზედ, ხალხმა 9 საათიდგან იწყო დენა ახლო-მახლო სოფლებიდგან და იმოდენა მოაწყდა, რომ სასწავლებლის გარშემო აღარ ეტეოდა. ხალხმა დაათვალიერა გულდასმით ყველა ხელ საქმე, მაგრამ 12 საათამდის კი აღარ მოუცადა გაყიდვას: დაჰკრეს ხელი და ისე დაიტაცეს, რომ 12 საათისათვის გასაყიდი აღარა დარჩარა.

ხალხი ფასებს სრულებით არ ერიდებოდა, დიდის ხალისით აძლევდა აღნუსხულს ფასებს. მაგ. თითო ტილოს ნაქერ პირსახოცში 5 მანეთსა, რადგანაც ამნაირი ფასები ხელსაყრელად ეჩვენათ. ოსებმა ძალიან მოიწონეს ჯეჯიმები, და ბევრიც წაიღეს. ვკითხე: რისთვის გინდათ მოიხმაროთ მეთქი, მეგონა ტახტზედ გადასაფარებლათ უნდოდათ. მაგრამ მათ თურმე ხურჯინებათ წაიღოთ.

12 საათზედ მოვიდა თბილისიდგან მატარებელი და თან მრავალი ხალხი მოჰყვა ქალაქიდგან და გორიდგან. იმერეთის მხრიდგანაც მრავალი ხალხი იყო, მ გრამ სამწუხაროთ გასაყიდი აღარა დარჩა რა, ყოველიფერი უკვე გაყიდული იყო. მათ მხოლოთ დაათვალიერეს სასწავლებელი, სხვა და სხვა საქსოვი მანქანები, ყდები მისი მოწყობილობა, გაყიდული საქონელი რადგანაც ხალხი ნავაჭრით ხელში იქვე დატრიალებდა. მრავალმა შეუკვეთა მასწავლებელს მოსაქსოვათ სხვა და სხვა საქონელი, და ორ საათზედ დაიშალა.

დიდი მადლობის ღირსია ამ საქმის მომწყობი და მზრუნველი ამ საფეიქროსი ბ-ნ ბაგრატიონ-დავითაშვილისა, და მრავალმაც უძღვნა მას მადლობა.

იმედია, რომ მასწავლებელი ს. როინაშვილი მალე უფრო მოჰეტებულ შრომას გაიწევს და მეტს დაამზადებს სხვა და სხვა ნაქსოვს, და ახლო მომავალში კიდევ გამართავენ გამოფენას და ვაჭრობასა. სასწავლებელშიაც ახლა უფრო მრავალი ჩნდება სწავლის მსურველი და იგი მოითხოვს გაფართოებას, რასაც იმედია შეასრულებს მზრუნველი ბაგრატიონ-დავითაშვილისა.

ი—ნ. თქ—პირიძე.

კორესპონდენცია

ახალციხიდან.

1 აგვისტოს, გიმნაზიის შენობაში მოხდა ქართული საქველმოქ. საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების წევრთა საზოგადო კრება, სადაც განსახილველი იყო განყოფილების მოქმედების წლიური ანგარიში და უნდა არჩეულიყო ახალი გამგეობა. ეს კრება თებერვლიდან მეოთხეთ იყო მოწვეული და ამ დღეს ძლივს შესდგა.

სხვა და სხვა მიზეზებისა გამო ამ დღესაც ძალიან მცირენი დაესწრნენ კრებას, თითქმის თითებზე ჩამოსათვლელნი. დამსწრეთ ერთმანერთი აირჩიეს გამგეობის წევრებათ. თავმჯდომარეთ ალ. ი—ძე აზნაუროვი, ამის ამხანაგად ზ. ჭინჭველაძე, ხაზინადრად რ. ბეჟიაშვილი, მდივნათ ფ. დურგლიშვილი, წევრებად: ქრ. გვარამაძე და მ. ზედგინიძე. ძველი გამგეობის წევრთაგან მხოლოდ დასტოვეს ახალ გამგეობაში თავმჯდომარედ ნამყოფი დეკანოზი ხახუტაშვილი, ბაღშიბეგ მაჩაბელი და ზიაბეგ მღვდელთუხუცესიშვილი. დანარჩენნი წევრნი გამოიცვალეს, რადგან სამი წლიწადი უკვე შეასრულეს. ვუსურვებთ ახალ გამგეობას ნაყოფიერ მუშაობას. სამუშაო მათ ბევრი რამ აქვთ. სულ არა იყოს რა ორის ბაღშია თავშესაფარსა და ორს ახალციხის თავშესაფარს და უდეს სკოლას დიდი შრომა და მოვლა-პატრონობა ესაჭიროება, რომელიც დაარსდა და ენერგიული სიმხნითაც ემსახურებოდენ ძველი გამგეობის ყველა წევრნი, რის გამო დიდი მადლობის ღირსნიც არიან. იმედია ახალი გამგეობა უფრო უკეთესად შეასრულებს თავიანთ მოვალეობას, როგორც ახალნი და ჯერ კიდევ მოუქანცველნი ამ საქმეში.

12 აგვისტოს, კვირას, განძრახულია რაბათის დედათა სასწავლებელში მოიწვიონ ადგილობრივ ყველა ქართველნი ადგილობრივი სცენის მოყვარეთა მუდმივი (დრამატიული) დასის დასაარსებლად. კრებას იწვევს, ძველი სცენის დამაარსებელი ქ. გვარამაძე, რომელიც მოხსენებას წაიკითხავს კრებაზე ადგილობრივი სცენის 14 წლის არსებობის შესახებ. იმედია საზოგადოება უკლებლივ დაესწრება ასეთი სიმპატიურ დაწესებულებას მკვიდრ ნიადაგზე შესაქმნელად, რაც აუცილებლივ საჭიროა თანამედროვე ცხოვრებაში. ქართველ-კათოლიკეთა დროებით აღმასრულებელ კომიტეტმა მოწერილობები დაუგზავნა ადგილობრივ სარაიონო მაზრის ქართ. კათოლიკე სამღვდელოებას, რომ მათ არავითარი მონაწილეობა არ მიიღონ სომეხ-კათოლიკეთა სამღვდელოების კრებაზე, რომელიც 12 აგვისტოს დანიშნულია თბილისში მათი ტიპიკონის ეპისკოპოსის არჩევნების შესახებ მოსალაპარაკებლათ.

ამავე ქართველ კათოლიკეთა და აღ. კომიტეტმა მისწერა დეკანს თომა იგითხანოვს, რომ მას ნება არა აქვს ქართველ-კათოლიკეთა ეკკლესიებს რევიზიები გაუწიოს, როგორც არხიმანდრიტ ტერ-აბრამიანისაგან მინდობილი ჰქონდა, ვინაიდან ქართველი კათოლიკეთა მრევლნი თვითონ ირჩევენ თავიანთ ეკკლესიებისთვის სარევიზიო კომისიის წევრებს, რომელნიც ყოველთვის გაუწევენ და შეამოწმებენ ეკკლესიათა შესავალ გასავალ ანგარიშებსა.

რადგან სკოლების გახსნის დრო ახლოვდება, მგონია, დროებით აღმასრულებელი კომიტეტი იზრუნებს რაბათის ქართველ-კათოლიკეთა წმ. იოანე ნათლიმცემლის ეკკლესიის სამრევლო სკოლის გახსნის შესახებ, რომელიც მისმა მოძღვარმა გ. გოზალაშვილმა 3—4 წლიწადია დაკეტა ვითომ უსახსრობის გამო. აღ. აღმასრულებელმა კომიტეტმა კარგად იცის რომ ამ სკოლისთვის თანხა ჰქონდა, რომელიც მღვდლებმა დახარჯეს და აშენეს დუქნები, დუქნებიდან ხომ ქირა შემოდის, აი, ეს ქირები მთავარ საწარმოებელ თანხად დაისახონ, და რაც დააკლდება ზოგი სხვა ეკლესიებს შეაწერონ, რომელთა მრევლის შვილები აქ ისწავლიან, დანაკლისიც წარმოდგენების გამართვიდან შეასრულონ და სკოლის საქმე გაიჩარხება.

წელს აქეთ პურის მოსავალი ნაკლებია. ბევრმა თესლიც ვერ აინაზღაურა. მოუსავლობის მიზეზი ბოლო ხანებში უწვიმობის გამო მზისგან გადაცება იყო ყანებისა. ქერს არა უშავს-რა. სიმინდიც უვარგისია ურწყავ ყანებისა, ხოლო სარწყავს სიმინდებს ჯერ კარგი პირი უჩანს. ბოსტნებიც ვერ არის სანაქებო. ხილიც ნაკლებობს. დიდი ნაკლებობაა თივისაც.

ხაშურიდან

დ. ხაშური არის მთელი საქართველოს შუაგული, აქ იყრის თავს სამი რკინის გზა, არის საშუალო სასწავლებლები, სავაჭრო და საქალაქო და მრავალი დაწესებულებანი, მაგრამ ყველაზე უფრო უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფება აქაური ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოება, მისი ხელქვეითი სამკითხველო და ქართული დრამატიული წრე. აქ არსებობს სამკითხველო, რომელიც ექვემდებარება ქ. შ. წ. კ. გ. ს. ამ საზოგადოების მოქმედების შესახებ ჯერ ვერაფერს ვიტყვი, რადგან ის სულთის ძილს მისცემია და ჯერ კიდევ არ გამოღვიძია. ვიტყვი მხოლოთ სამკითხველოს შესახებ. მეტად აუწერელ მდგომარეობაშია აქაური სამკითხველო, არავითარი ახალი წიგნი სამკითხველოში არ მოიძებნება, და რაც ძველი ჰქონდათ, ისიც დაშლილი და დაუკაზმავი არის. გაზეთები მხოლოდ ერთი ყოველდღიური მოსდით „საქართველო", რომელიც პატივცემულმა ლ. ცისკარიძემ გამოუწერა ერთი წლით, კიდევ „ხალხის თავისუფლება" და „ალიონი", რომლის შესახებ გამგეობამ არც კი იცის თუ ვინ გზავნის. აი ეს არის ჩვენი სამკითხველოს ჟურნალ-გაზეთები. რუსულ გაზეთებიდ 5 მოდის ორი. სხვა გამოცემანი არც რუსული და არც ქართული ჟურნალ-გაზეთები აქ არ მოიპოვება. მკითხველთა რიცხვი ხუთიდან ათამდეა დღეში. ეს იმის ნიშანია, რომ საკითხავი არაფერია და ტყუილად აბა ვის რა უნდა. ზიგ კედლებზედ შპალერი ჩამოგლეჯილი, სურათები დამტვრეული და რაღაც სასამარცხვინოს წააგავს მისი მორთულობა.

უფრო უნუგეშო მდგომარეობაშია აქაური ქართული დრამატიული წრე, რომელიც არსებობს მეოთხე წელიწადია. ეს ფრიად სიმპატიური დაწესებულება დღეს სულს ღაფავს და ეს ამდენი ხნის ამაგი სცენის მოყვარეებისა და ყოფილი გამგეობისა დღეს უპატრონოთ არის.

მთელი შვიდი თვის განმავლობაში დრამატიულ წრეს დაუდგამს ორი წარმოდგენა, როცა გასულ წელს ამავე ხნის განმავლობაში დადგმულა ოცზე მეტი. თუ რამე სთქვი, ყველანი თავის მართლებას დაიწყებენ და დღევანდელ მომენტზე მიგითითებენ. არა, მკითხველო, დღეს ყველაფრის გაკეთება უფრო ადვილია, ვიდრე უწინ იყო. ძველი მთავრობის ხელში ყველაფერი შებოჭილი იყო, და თავისუფლად ამოსუნთქვაც ძნელი იყო. დღეს კი ყველანი თავისუფალნი ვართ და თავისუფლადაც შეგვიძლიან ვაწარმოვოთ ყოველივე საქმე, მაგრამ არ არის ერთსულოვნობა, და რაღაც ჟინიანობა არსებობს ხალხში. რაც დრო მიდის მით უფრო ფეხს იდგამს ეს ჟინიანობა და საფრთხეს უმზადებს ყველა ქართულ კულტურულ ბედნიერებას.

მოვაგონებ ჩვენ საზოგადო მოღვაწეებს და საზოგადოებას, რომ ნუ დალუპავენ ერის სიმდიდრეს, და თუ ვინმეს თავისი ერი არ სწამს, ისინი შორს ჩვენგან, ჩამოგვეცალონ, ჩვენ მაინც ნუ გვიშლიან ვიზრუნოთ ჩვენი საქმეებისთვის.

ნაგუბარი.

სურამიდან

არ ვიცი, რითი დავიწყო ჩემი წერილი სურამზე—იმდენი ფიქრი მიტრიალებს თავში, რადგან, სურამს რომ ახსენებენ ხოლმე, უეჭველად ჩვენის პროვინციის ბედი მაგონდება. სურამიც, მართლა, ჩვენის პროვინციის ცხოვრების მაჩვენებელია.

შემკია სურამი ბუნებას და ადამიანს კი არა,—აი თავი და ბოლო სურამის ავკარგიანობისა. ერთის მხრივ—მშვენიერი მაცხოველებელი ჰაერი, ადგილ-მდებარეობა, ირგვლივ ტყეები,—და მეორეს მხრივ—უმოქმედობა და თაოსნობის მოკლებულ ადამიანებსა.

რა არის ტყე ადამიანისთვის, ეს ყველამ იცის—და როგორ ვერაგულად სჩეხავენ მას აქ. დიახ, ბუნებას რაც გაუჩენია, იმასაც აკლებენ და არაფერს ჰმატებენ. ან რა უნდა შეჰმატონ?—ჩემს შემდეგ თუ გინდ წარღვნა იყოსო.

აი ეს სურამის გძელი, სწორი გზაც, ოდესღაც „ფოსტის" გზა, ღამის არის, მტვრისა და უწმინდურობის გზად გარდიქცა. არავინა ჰყავს მომვლელი, მომრწყველი—და სდგას მუდამ მტვერი, კორიანტელი, შორს გამჭრეტელი და ახლოს არ მხედველი სურამელი კი მხ მოვლენას ქარს აწერს, ქარი—ტყის მოჭრის ბრალია და ტყის მოჭრა? კარგია მოჯადოებულ წრეში სიარული, სანამ ნაკელია—ირგვლივ მტვერი, სალამოობით და ღამ ღამობით კი სცხოვრობს სურამი „ღამის წყვდიადში", როგორც მგონიები ამბობენ, ოდესღაც გვქონდა ელექტრონის განათებაც, ახლა ისიც აღარა გვაქვს, და მის ნაცვლად ობლად დარჩენილი სვეტები გამოიყურებიან. კიდევ შეურიგდებოდა კაცი ამ სინამდვილეს ცხოვრებისას, რომ სხვაფრივ ჰქონდეს მას ნათელი მხარეები.

ნათელი მხარეები,—ჰო, მართლა, კოოპერატივი! მაგრამ არა—რაღაა იგი სინათლე, რომელსაც ახლავს ბნელია? კოოპერატივიც არსებობს, მაგრამ სურამივით სულსა ჰღაფავს. ერთად ერთი ადგილი, სადაც შეგვიძლიათ თავი შეაფაროთ, არის სამკითხველო, მაგრამ უნდა ვსთქვათ, რომ, თუმცა იგი ასრულებს თავის დანიშნულებას, ესე იგი ღია არის ხოლმე და გაზეთებიც მოსდის, მაგრამ აქაურები თვითონ ვერ ასრულებენ თავიანთ დანიშნულებას სამკითხველოს მიმართ და არ ეწვევიან ხოლმე.

სხვა კულტურული მხარეები... მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ თანდათან აღმოიფხვრა არა კულტურული მხარეები ჩვენის ცხოვრებისა, თორემ სხვას ვინ დაეძებს. მას შემდეგ, რაც ადგილობრივ კლუბში მოსპეს ბანქო-ლოტოს თამაში, კაცმა ცოტა დამშვიდებით ამოისუნთქა.

დრო-გამოშვებით ბანქო-ლოტოს მაგივრად წარმოდგენებს მართავენ ხოლმე, მაგრამ ვაი ამ წარმოდგენებს! განა წარმოდგენა შეგვიძლია დავუძახოთ იმას, რომ სასაცილო სცენის მოწყობილობისა სიცილს იწვევს მაყურებელში, რაგინდ ტრაგიკულ შინაარსის პიესა არ უნდა იყოს წარმოდგენილი,—განა ესთეტიურ გრძნობას განიცდის კაცი, როდესაც შუა-მოქმედების დროს ლამფა უქრებათ სცენაზე? ან და რა დრამატიული ეფექტი უნდა გამოიწვიოს იმ გარემოებამ, რომ საგანგებოდ მოწვეულ კაცის მიერ დიდის ვაი-ვაგლახით ჭერზე ჩამოკიდებული ფარდა, ისევ შუა მოქმედების დროს, დიდის ხმაურობით ჩამოვარდება ხოლმე უცბად, რაიც გაუთავებელ სიცილ-ხარხარს იწვევს ისედაც მუდამ სიცილის გუნებაზე მყოფ ხალხში...

და ეს უშინაარსობა ცხოვრებისა ახასიათებს სურამს. არც ერთი შინაარსიანი ლექცია, არც ერთი მოხსენება თანამედროვე მომენტზე, თუ არ ჩავთვლით სოც. დემოკრატების ორიოდე ლექციას, არავითარი ზრუნვა სოფლის ხალხზე, მასში შეგნების შეტანაზე, არავითარი კულტურული მუშაობა. და როდესაც ჰხედავ ამდენ ინტელიგენტურ ძალას, სურამში შეკრებილს, ამდენ ახალგაზრდობას, რომელსაც შეეძლო დიდი კულტურული მუშაობა გაეჩაღებინა და რომელიც ამის მაგივრად უშინაარსოდ ატარებს ცხოვრებას სურამის სადგურზე თუ ბაღებში უზრუნველად პარპაში და არშიყობაში,—როდესაც ჰხედავ ყველაფერს ამას, გული გიკვდება, რომ ასეთი არარაობა გამეფებულა, ამ ისევ რუსულად მოტიკტიკე ხალხში...

უნუგეშოა მდგომარეობა სურამისა, მაგრამ განა მარტო სურამია ამ მდგომარეობაში? დღეს ყველგან ჩვენს პროვინციაში თავს დაგვტრიალებს შავი აჩრდილი უმოქმედობისა და შინაარსიან ცხოვრებისადმი გულგრილობისა. პროვინციას შველა უნდა, პროვინცია იღუპება—მიეშველეთ მას!

გობრონ ციცქიშვილი

წერილი რედ. მიმართ

მოქალაქე რედაქტორო! გთხოვთ ამ პატარა წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენ პატივცემულ გაზეთ „საქართველოს" ერთ ნომერში.

მადლობას ვუცხადებთ ყველა იმ პირთ, რომელმაც კეთილ ინებეს და ქვედა დუაბზუს წიგნთ-საცავ სამკითხველოს შემოსწირეს თავიანთი წვლილი. ირაკლი ჩხიკვიშვილმა, ქ. ჩურგულაძემ ოც-ოცი მან. პარმენ ქახუტაშვილმა, ს. ხუტულაიშვილმა ათ-ათი მან. ეგრა ანთაძემ, გიგო ღლონტმა, სიმონ სურგულაძემ, კირილე სანკოჩაიშვილმა, ფილიპე ღლონტმა, პრაპ. ნიკოლოზ დ. მამულაიშვილმა, ესოფ ბერიძემ ხუთ-ხუთი მან. შეგროვდა ქალაქ ბათუმში თავის ნაცნობ-მეგობრებში პავლე მენაბდიდგან და ალექსანდრე ღლონტიდგან 85 მან. 50 კ. და დიმიტრი ქუთიასაგან იმავე ქალაქში შეგროვილი 39 მან. 25 კ. 3.

სამკითხველოს გამგეთაგანი
კამინე ღლონტი.

რედაქტორი გრიგოლ ვეშაპელი.

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თბილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისაკენ	საფ.	№ 3,	11.08	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	11.48	საღ.
ბორჯომისაკენ	სამგზ.	№ 19,	8.20	დღ.
„	„	№ 17,	8.27	დილ.
გორისაკენ	სამგზ.	№ 61,	9.10	დილ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	9.20	დილ.
	სამგზ.	№ 8,	8.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-8,	11.18	საღ.

თბილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	7.51	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38	საღ.
ახ.ზ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.46	დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12	საღ.
გორიდან	სამგზ.	№ 62,	6.34	საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08	დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	10.40	საღ.
ყარს-ჯულფ.	საფ.	№ 3***,	8.10	დილ.

ქ. ფოთში
საჩქაროდ ისყიდება
ხილისა და დაფნის
ბაღი
(შენობით) ორ ნაჭრად, ზღვის პირზე
ფასი 2500 მანეთი
მისამართი: ა. რიხტერს, ფოჩტის ყუთი.
1—728—1

გამოვიდა
და დაურიგდა ხელის-მომწერლებს პირველი ნომერი სასწავლო ჟურნალ
„შინა-გიმნაზიისა და უნივერსიტეტისა".
ჟურნალში დაბეჭდილია პირველი გაკვეთილები ქართული ენისა, საქართველოს ისტორიისა, არითმეტიკისა, ბუნება-მსოფლიო ცნობისა და სხვა. ხელის მოწერა მიიღება. ფასი წლის დამლევამდე 5 მანეთი. მისამართი: въ Тифлисъ, Тумановскій пер. 24, Ивану Павловичу Ростомашвили.
3—733—1

მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ქუთაისის გაზეთზე
1917 წ. ჩვენი ქვეყანა 1917 წ.
გაზეთის ფასი: წლიურად 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურად 1 მან. და 50 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილადაც გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5, სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მანეთი და დანარჩენიც სეკტემბრის დამლევამდი.
რედაქციის მისამართი: ქუთაისი, თბილისის ქ. სოფ. მიქელაძის სახ., კანტორა ღიაა: დილით 9—2 საათ. და საღამ. 5—8-მდი.
რედაქტორი დ. კვირკველია.

კომიტეტი
ქართველთა სამხედრო კავშირისა
მოუწოდებს ყველა ქართველ მეომარს (ჯარის-კაცებს, ოფიცრებს, სამხ. ექიმებს და მოხელეებს) ჩაეწერონ აღნიშნულ კავშირში, რომლის მიზანია რუსეთის რევოლიუციის ხელის შეწყობა და საქართველოს ავტონომია. კომიტეტის ბინა მოთავსებულია ახალ კლუბის შენობაში (სასახლის ქუჩა). ცნობების მიღება შეიძლება „ჯარის კაცის" რედაქციაში დილის 10—2 საათამდე და საღამოს 7—8-დე.
კომიტეტი ქ. ს. კ.

საავადმყოფო
სამხედრო ექიმ სპეციალისტებისა მოხალისე ავადმყოფებისთვის:
დიდი ვანქის ქუჩა № 3. ალექსანდროვის ბაღის ახლო, ტელეფონი 431.
ავადმყოფების მიღება: დილის 10 საათიდან 5 საათამდე.
ზელაბუგე—ბავშვთა შინაგან ავადმყოფობისა. ღებულობს 10—12 ს. ყოველდღე.
გეინაცი—თვალის ავად. 2—3 საათ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით.
ახპახოვი—ყელის, ყურის და ცხვირ. 1—2 საათ. ორშაბათ. და ოთხშაბათ.
ფირალოვი—ქირურგ. ავად. 12—1 საათამდე.
მონხე—ბავშვთა შინაგან ავად. 1—3 საათამდე ყოველ დღე.
ჩუდნოვსკი—შინაგან და ნერვიულ ავად. 12—1 ს. საათ. ხუთშაბ. და კვირაობით.
ბეგზადოვი—ქალთა და საზებიო ყოველ-დღე 2—3 საათამდე.
იოხელიანი—ქალთა და საზებიო ავად. ღებულობს ორშ., ოთხშ. და პარ. 11—12 ს.
ნარიმანოვი—ვენერიული ავად. ყოველ-დღე 10—11 საათამდე.
დეკანოზოვი—ქალთა ავად. სამშაბათ. ხუთშაბ. და შაბათობით 12—1 საათ.
ტროიცკაია—ქალთა და ქირურგ. ავად. ყოველდღე ქირურგ. 2—3 საათამდე.
ქალთა ავადმყოფ. 3—4 საათამდე.
ბაგდოევისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 3—5 საათამდე.
ალიხანოვისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 10—12 საათამდე.
100—667—39

1917 წ. მიიღება ხელის მოწერა
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ
„ნაკადულ"-ზე
წელიწადი მეთორმეტე
ჟურნალი „ნაკადული" გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.
ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ
24 წიგნი „ნაკადული"-სა მცირე წლოვანთათვის. 12 წიგნი „ნაკადული"-სა მოზრდილთათვის.
ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი
ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი 3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.
ფოსტისთვის: Тифлисъ Головинскій пр., 8. შემოსავლელი დავითის ქ. № 2
დაწვრილებით ჟურნალში. რედაქტორი ნინო ნაკაშიძე
გამომცემელი თ-დ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.
(291—46)

[illegible]
ძმ. [illegible]
მუშტაიდის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.
[illegible] (წ.)

სტამბა „ცნობის ფურცლის" [illegible] № 4

[illegible] „[illegible]" საქართველოს"